კვირა დეკემბრის 16 ფასი 15 კაპ. ჩეკ. 1923 წ. — № 2



ალ. ყაზბეგი (1847—1893) ქანდაკება ვახ. კოტეტიშვილისა.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: **№ 2.**

მეთაური: წინ თუ უკან
რაჟდენ კალაძე—სახალხო თეატრი
ივ. გომართელი—მუშა მგოსანი
ლევ. მეტრეველი—მერე მე რა?
ია კარგარეთელი—სიმღერის წარმოშობა
ტრ. რამიშვილი—სიყვარულის საზღვართან
პიესა სამ მოქმედებად
ტერენტი გრანელი—ჩემი რკალი
პარ-დონ—კ. მარჯანიშვილი
კაიუს პელი—სუნთქვა იმედებით
შ. სპანიოლი—თეატრი და ექსპრესიონიზმი.
ზ. ფალიაშვილი—ლიბრეტო „დაისი"-სა
ექიმი შტოკმანი—საზოგადოებრივი ცხოვრება
ბიბლიოგრაფია, ხელოვნების ქრონიკა

„თეატრი და ცხოვრება"-ს ფონდისათვის

შემომაქვს ხუთი მანეთი ჩერვონეცით განახლებულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს ფონდის გასაძლიერებლად. ამავე მიზნით ვიწვევ გაიღონ თავისი წვლილი შეძლების დაგვარად, შემდეგ პირებს:

გრიგოლ ლევანის ძე აბელიშვილს, გრიშა ზურაბის ძე აბაშიძეს, ილუშა მიქაძეს, გიორგი თაზიშვილს და სლიბისტრო მიმინოშვილს.

პლატონ გოცირიძე.

1910-1923

წელიწადი XIII

№ 2

ფასი 15 კ. ჩრდ.

„თეატრი და ცხოვრება“

ყოველკვირეული სურაოებიანი ჟურნალი

რედაქციის დრ. ბინა: რუსთველის პრ., № 10 (ეზოში, ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ახალი წრე“).

ფოსტით: ტფილისი. რედ. „თეატრი და ცხოვრება“

იოსებ იმედაშვილს.

თეატრი. პოეზია. მუსიკა. მხატვრობა. ქანდაკობა. საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, დეკემბრის 16 | გამოცემა 1923 წ.

დეკემბრის 16

ხელოვნება და სოფელი

ჩვენი ხანა გზა ჯვა-რედინზეა შემდგარი: წინ განახლებული სიცოცხლე ელიმის, უკან დახავსებული სიკვდილი.

საით წავალთ?—რა თქმა უნდა წინ.

მაგრამ სურვილი ერთია, აღსრულება მეორე. სიტყვა სხვაა საქმე სხვა.

დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა-კი—ხანა ძველის ნგრევისა და ახალის აღმშენებლობისა—საქმიანობას გვთხოვს.

***

ჩვენი დროის დაბა-ქალაქი, განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც მუშა ხალხია შეკრებული, ასე თუ ისე, წინ მიისწრაფის. აქ მეტია საკულტურონსო საშუალებანი: დრამა, ოპერა, მწიგნობრული ცხოვრება, მხატვრობა-ქანდაკებათა გამოფენანი და სხვ.

და მუშა ხალხი, მისი მოზარდი თაობა უმუალოდ ეწაფება გონებრივ-ზნეობრივ და ესთეტიურ განვითარებას, წინსვლას.

სულ სხვაა სოფელი.

გარდა იმისა, რომ იგი თანამედროვე საწარმოვო იარაღებით აღჭურვას საჭიროებს, რათა ნივთიერად წელში გაიმართოს, ამაზე კიდევ უფრო საჭიროებს ხელოვნების ყოველი დარგის ზიარებას, რათა მოწინავე კაცობრიობას არ ჩამორჩეს.

ამ მხრივ-კი სოფელი დამშეულია.

და კიდევ უფრო გულგატეხილი, თითქო მოშავლის რწმენა გაჰქრობოდეს.

მას წავართვით ათასეული წლობით შეკისხლხორცებული მრწამსი,—ეს ასეც უნდა ყოფილიყო,—მაგრამ სამაგიეროდ რა მივეცით?

სოფლის კაცი, რომლის გონებასა და გულს ხელოვნება-მეცნიერების სხივები ჯერ კიდევ არ მოჰფენია, გაგარეულებულია, გულგაპობილი.

და რაც უნდა მაღალი მცნებანი ველაპარაკოთ, იგი არ გვიჯერას, რადგან მას მამა-პაპით ერთი მცნება შეუთვისებია: „სიტყვა თვინიერ საქმისა მკვდარ არს!“

***

დღევანდელი კარგამოკეტილი წიგნთსაცავი, დამტვერინებულია ანუ ცალმხრივი შინაარსის წიგნები სოფელს არ აპურებს.

არც სცენის მოყვარეთა წარმოდგენები უსალბუნებს გულსა და სულს:

— მოცლილი ხალხის მაიმუნობაა, იტყვის უმეტეს შემთხვევაში სოფელი, რადგან ეს წარმოდგენები ხშირად მართლადაც მაიმუნობაა, ტაკიმასხარობა.

ამით, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობთ სცენის მოყვარე მუშაკთა შეურაცხყოფას, მაგრამ უმეტესობას რომ თავისი დანიშნულება არ ესმის, ცხადია.

ეს ნაკლი დღეს უფრო აშკარა შეიქნა, როცა სოფელს გამოშორდენ კულტურული ძალები: ზოგმა ადგილ საცხოვრებელი დაკარგა სოფელში, ზოგმა ქალაქში იშოვა სამსახური.

***

და, აი, დღეს ეხსნება უდიდესი ასპარეზი ქართულ სახიობას, მოქანდაკეობას, მხატვრობას, მუსიკას.

დრამის სტუდიელები ნამდვილ—ახალი მცნების—მოციქულებად უნდა მოევლინონ ჩვენს სოფელს და ყველგან დააფუძნონ ახალი დროის ეკლესია,—ხელოვნების წმიდა ტაძარი.

მოქანდაკეებმა ყოველი დაბა-ქალაქი და, ცოტათ თუ ბევრად მოზრდილი, სოფელი ჩვენი სასიქადულო შვილთა ძეგლებით უნდა შეამკონ,—დაე, გლეხის შვილებმაც ყოველ დღეს შეხედონ შოთას, აკაკის, ილიას, ბარათაშვილის, ჭონქაძის, ნინოშვილის, იოსებ დავითაშვილის და ა.ხ. ქანდაკებათ.

დაე, სოფელიც დასტკბეს წმინდა ხელოვნური წარმოდგენების ხალვით, მუსიკის მოსმენით, მხატვრობის ჭვრეტით და მაშინ იგი სულიერად ამაღლდება.

ვისი მოვალეობაა ეს? რა გზით უნდა განვახორციელოთ ეს?

ამაზე შემდეგ.

სახალხო თეატრი

(სახალხო თეატრის 30 წლის მოღვაწეობის იუბილეს გამო*)

ბევრი რამ საყურადღებო და მართალი ითქმის სახალხო თეატრის შესახებ და უნდა ითქვას კიდეც საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში. ბევრმა იცის, რაც უნდა ითქვას, მარა განზრახ ივიწყებს, რადგან ეს „თქმა“ მისთვის ხელსაყრელი არაა; ბევრმა კომუნისტმაც, სამწუხაროდ არ იცის რა უნდა ითქვას, რადგან ის ისტორიის ცოდნას არც ეტრფის და არც ცდილობს ისტორიით იხელმძღვანელოს. მინდოდა ეს ისტორია მომეგონებია დღეს ჩვენი „პასუხისმგებლებისათვის“, რომლებიც ისე რიხიანად ხელს აწერენ აღნიშნულ იუბილეს გამო გამოშვებულ მოწოდებაზე („კომუნისტი“ № 278), მაგრამ მომაგონდა ტრადიციული ეთიური პრინციპი: „არც მიცვლილზე დაარც საიუბილეოთ გამზადებულზე ცუდი რამ არ ითქმისო“ და მეც იძულებული ვარ დღეს გავჩუმდე.

ის, რაც უნდა მეთქვა, შემდეგისათვის იყოს, ახლა კი შევეხოთ სახალხო თეატრის მნიშვნელობას ჩვენში ამ „სახალხო თეატრის“ იუბილეს გამო არის თუ არა საჭირო ჩვენში სახალხო თეატრი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

აღნიშნულ მოწოდებაში სწერია „.....და მით უფრო მნიშვნელოვანია..... რამდენადაც იგი (სახალხო თეატრი. რ. კ.) ისტორიულ სახესატარებს .....კლასიურ კულტურის აღზნების სფეროში“.

დიდმნიშვნელოვანი სიტყვებია, მარა ერთი მეორეს არ უდგება. სიტყვა სახალხო და სიტყვა კლასიური ავტორის გაგებით თითქო ერთ ტიმავე ცნებას გამოხატავს, მაშინ, როდესაც ახლანდელ დროში წერა-კითხვის უცოდინარმა „კომსომოლმაც“ კი იცის, რომ ხალხი სხვაა და კლასი კიდევ სულ სხვა.

დღევანდელ მსოფლიო რევოლიუციის ხანაში კულტურის მესვეურათ და შემოქმედათ მხოლოდ ერთადერთ საზოგადოებრივ კლასს შეუძლია გამოვიდეს, და ეს ამ კლასს, რომელიც მიმდინარე რევოლიუციას წინამძღოლ-ხელმძღვანელობს. ყველამ ვიცით, რომ ეს კლასი პროლეტარიატია და არა უსახო არა კლასი—ხალხი, ან ამ ხალხის წარმომადგენლები.

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს „ჭრელი ხალხი“ არა თუ ჩვენში, არამედ კლასობრივათ დაწინაურებულ ისეთ ქვეყანაში, როგორც ინგლისია, იქაც არსებობს.

ამიტომ კულტურის განვითარება-შემოქმედების კითხვა ერთია, ხოლო ამ კულტურის „ჭრელი ხალხისთვის“ გამოყენების საკითხი კი სხვა. ამნაირად ჩვენშიაც ისე, როგორც სხვაგან კულტურის შექმნის, განკითარების და გავრცელების საკითხში ის კლასი მეთაურობს, ხელმძღვანელობს და შემოქმედებას იჩენს, რომელიც ცხოვრების სხვა მხარეებსაც უძღვება.

როგორც ვთქვით, ასეთი კლასი დღეს ჩვენში მხოლოდ პროლეტარიატია და ამ კლასის იდეოლოგიის გამომხატველი კომუნისტური პარტიაა.

და რადგან დღეს ჩვენი ხალხიც კულტურას უნდა ეზიაროს, ცხადია, აქედან ის იმ კულტურას მიიღებს, რომელსაც ჰქმნის პროლეტარიატი.

როგორც ვიკით, თეატრიც ამ კულტურის ერთი მეტად თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი დარგია; და როცა საკითხს ვაყენებთ: საჭიროა სახალხო თეატრი თუ არა, ე. ი. ჩვენს, თუნდაც „ჭრელ ხალხს“, რომელიც ქართველთა დიდ, მეტად დიდ უმრავლესობას შეადგენს, სჭირდება განსაკუთრებული ხასიათის თეატრი თუ არაო, უნდა გადაჭრით ვუპასუხოთ, რომ აუცილებლად სჭირდება. მით უფრო, რომ ეს ხალხი ხელოვნების არც ერთ დარგს ისე ხალისით და აღფრთოვანებით არ ეგებება, როგორც თეატრს; ჩვენი ხალხი თეატრალური ხალხი შეიქნა და ეს მისი განსაკუთრებული ხასიათით და ტემპერამენტით აიხსნება. ჩვენ ხალხს უყვარს „სანახაობა“, უყვარს ბრძოლა და ამ ბრძოლის გამოხატულება, ბრძოლაში გამარჯვება და მხიარულება და აი ყოველივე ამას პოულობს იგი თეატრში.

მას უყვარდა უაღრესად წინად, როცა ჩვენ თეატრი არ გვქონდა, „ზმა“ და შაირი, ახლა მან ეს სიყვარული თეატრზე გადაიტანა. ამიტომ აუცილებლად გვჭირდება ჩვენ სახალხო თეატრი.

მაგრამ აქ მეორე საკითხია წამოსაყენებელი: როგორი უნდა იყოს ეს სახალხო თეატრი? ჩვენ გვაქვს „აკადემიური სახელმწიფო“ თეატრი, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკაში მუშის და გლეხის, ე. ი. ხალხის თეატრის ხასიათს უნდა ატარებდეს და არა ბურჟუაზიულს, გვაქვს ჩვენ პროლეტ კულტის „არენა“, სადაც პროლეტარული თეატრი უნდა შეიქმნას: მაშ რაღა საჭიროა კიდევ სახალხო თეატრი?

აი რა საჭიროა:

პროლეტარიატის დიქტატურის, დღევანდელ გარდამავალ ხანაში ხელოვნებისაც ისე, როგორც მეცნიერების, სრული პროლეტარიზაცია ხდება, ე. ი. მთელი კულტურა პროლეტარულ კლასობრივ ხასიათს და ფორმას ღებულობს; მაგრამ ეს გაპროლეტარებული კულტურა რომ ხალხისთვის მისაწვდომი გახდეს, საჭიროა მისი „გამდაბიურება“ ანუ „პოპულიარიზაცია“, როგორც წინათ ბურჟუაზიის იდეოლოგები ამბობდენ ხოლმე.

როგორც წინად ბურჟუაზიას სჭირდებოდა თავისი იდეოლოგიის ხალხში (არა თუ მარტო

*) რედაქციას სასურველად მიაჩნია ამ საკითხის შესახებ სხვებმაც გამოთქვან თავისი აზრი.

რედ.

ხ
ალხში, არამედ მუშებშიაც) გატარება და მისი ურჟუაზიულად „გაკულტურება“, სწორედ ასე ახლა პროლეტარიატს სჭირდება თავისი იდეოლოგიის ხალხში გატარება და მისი პროლეტალურად გაკულტურება.

თუ ბურჟუაზია ამ მიზნით ხალხისთვის ჰქმნიდა: „სახალხო სკოლებს“, „სახალხო უნივერსიტეტს“, „სახალხო ლიტერატურას“ და „სახალხო თეატრს“, ახლა პროლეტარიატიც თავისი კლასობრივი კულტურის გავრცელების მიზნით ჰქმნის ასეთსავე სახალხო კულტურულ აპარატს სდა მისი საშუალებით იგი ხალხის მისაწვდომ-შერათვისებლად ხდის ახალს, თანამედროვე კულტუას.

თქვენ ხედავთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკაში ვიდრე ნამდვილი პროლეტარული უნივერსიტეტი შეიქმნებოდეს, არსდება ეგრეთწოდებული მუშფაკები, გამოდის სახალხო პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა; ვიდრე „პროლეტკულტის არენა“ ნამდვილ პროლეტარულ თეატრათ გადიქცეოდეს, არსებობს, გარდა ნახევრათ სახალხო აკადემიურ თეატრისა, კიდევ სპეციფიური „სახალხო თეატრი“, რომლის 30 წლის მოღვაწეობის იუბილეს დღეს იხდიან.

რატომ თვითონ „სახელმწიფო აკადემიური თეატრი“ არ კისრულობს იმ როლს, რომ თვითონ იგი გახდეს ნამდვილი სახალხო თეატრი? შეიძლება იკითხოს ვინმემ.

სწორეთ იმიტომ, რომ იგი „აკადემიურია“, ე. ი. ნახევრათ ბურჟუაზიულია და მასთან არც ფორმა-შინაარსით და არც ფასით „გამდაბიურებული“ არაა.

თანამედროვე კულტურის დონეზე მდგარი თეატრი და ისიც ნახევრათ ბურჟუაზიული (განსაკუთრებით ,,ნეპის“ პირობებში) მეტათ ,,დიდ ხარჯებს“ მოითხოვს და ამ ხარჯების გასწორება საბჭოთა სახელმწიფოს ,,მდაბიო“ სახალხო ფასების შემოღებით არ შეუძლია: იგი დრომდის იძულებულია ეს ხარჯები ,,ნეპური“ ელემენტების შემოსავლიდან გაასწოროს, და რა თქმა უნდა, ეს ,,ნეპური“ ელემენტებიც თავის შესაფერ ,,საქონელს“, ე. ი. წარმოდგენებს მოითხოვენ.

აი რით აიხსნება ,,აკადემიური თეატრის“ ნახევრათ ბურჟუაზიულობა.

მაგრამ ამას, ცხადია, დღევანდელ ,,სახალხო თეატრში“ სრულიად ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან სახალხო თეატრი—ეს ყველაფრით—ფორმით, შინაარსით, ფასით—მხოლოდ ,,გამდაბიურებული“ პროლეტარული ანუ სოციალისტური თეატრია.

ამიტომ მისთვის ორი რამ არის აუცილებელი: ერთი—სახელმწიფოს ,,სუბსიდია“, ხოლო მეორე—სახალხო პროლეტარული (სოციალისტური) რეპერტუარი.

ჩვენს ,,სახალხო თეატრს“, როგორც ვიცით, ერთიც აკლია და მეორეც, ამიტომ იგი, ცხადია თავის სიმაღლეზე ვერ დგას. საჭიროა მთელი ენერგიის მოკრება, რომ ამ საიუბილეო დღიდან მაინც გაუჩნდეს მას ერთიც და მეორეც, მაშ ვუსურვოთ გამარჯვება ასეთს მომავალ პროლეტარულ სახალხო თეატრს ჩვენში.

1923 წ. 6 დეკ. რაჟდენ კალაძე.



მუშა-მწერალი გიგო ხეჩუაშვილი
სამწერლო მოღვაწეობის 25 წ. შესრულების გამო)

მუშა-მგოსანი

ძველი წყობილების დროს, როდესაც მუშათა კლასის მთელი ყურადღება პოლიტიკური ბრძოლისა და საზოგადოებრივი კითხვების გარშემო ტრიალებდა, ჩვენს მუშებში პოეზიას ალმაცერად უყურებდენ,—ის თავადებისა და ბურჟუების შესაქცევარი და ვასართობი ეგონათ. პროლეტარულ გაზეთში ლექსი საჭირო არ არისო, ასეთს აზრს გაიგონებდით მუშათა წრეში.

რა თქმა უნდა, ასეთი შეხედულება სრულებით შემცდარი არის და აიხსნება მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლის სიმწვავით.

პოეზია მძლავრი იარაღი არის ყოველი კლასის ხელში და ეს კარგად ესმოდა ბურჟუაზიას. მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ იდღესასწაულებს სრულ გამარჯვებას, როდესაც ის გამოჰგლეჯს ბურჟუაზიას ხელიდან ყოველგვარ იარაღს და ყოველ დარგში დაამარცხებს მას. მუშათა კლასის ხელში პოეზია უნდა გაიშალოს, აყვავდეს და გაბრწყინდეს ისეთის ფერადებით, რომ ბურჟუაზიული პოეზია სრულებით დაჩრდილოს.

ეს იქნება პროლეტარიატის უდიდესი გამარჯვება.

მაგრამ ასეთი გამარჯვება ერთბაშად, ერთის დაკვრით ხელთ არავის არ უვარდება,—ის შედეგია ხანგრძლივი შრომისა, მომზადებისა და ცდისა. ასეთი მომზადების ხანაში შეცდომა, წაფორხილება

პატარპატარა დამარცხება აუცილებელია, მაგრამ უამისოდ განვითარება, გაზრდა შეუძლებელია.

ამის გამო ყოველი მგოსანი, რომელიც მუშათა წრიდან გამოვა, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. თავის თავად კიდეც რომ არ წარმოადგენდეს ის დიდ ღირებულებას, ის მაინც მოიტანს რაიმე მასალას იმ დიადი შემოქმედებისათვის, რომელსაც პროლეტარული პოეზია ეწოდება.

გარედან შემოტანილი არასოდეს არ არის იმდენად მტკიცე, როგორც შიგნიდან, შუაგულიდან ამოცენებული. პროლეტარული პოეზიაც მხოლოდ მაშინ გაშლის ფრთებს, როდესაც თვითონ მუშათა კლასის გულიდან იწყებს ის ჩქეფას, როდესაც პროლეტარიატის რიგებიდან გამოვლენ მუშა-პოეტები.

გიგო ხეჩუაშვილს ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: ის არის ნამდვილი მუშა-პოეტი, პოეტობამდე მუშა იყო და პოეზიაშიც მუშად დარჩა; პოეტი და მუშა იმის არსებაში ხელიხელ ჩაკიდებული დადიან; პოეტი და მუშა ხეჩუაშვილში განუყრელი, განუყოფელი არიან; პოეტი მუშას ზრდის მასში, მუშა კიდევ—პოეტს.

ხეჩუაშვილი მეტად ნაყოფიერი მგოსანია და იმის შემოქმედებას უსათუოდ აზის დაღი ჭეშმარიტი პოეტისა.

„ძველს პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი“.

ვინ არის ხეჩუაშვილის გულის მურაზი?

შოთა რუსთაველი. ხეჩუაშვილი სცდილობს ჩასწვდეს რუსთაველს, შეისწავლოს მისი ენა და ბევრი თავისი საუკეთესო ნაწარმოები თექვსმეტ მარცვლოვანი შაირითა აქვს დაწერილი.

მარტო თავის რწმენით კი არა, თავისი პიროვნებითაც ის ინტერნაციონალისტია.

„მე თუმცა სომეხს მიხმობენ,
მასხია მათი ნაბადი,
და გულშიც ტრფობის ნაღვერდალს
მათზეგან გააქვს ღადღადი,
ქართველის ძმადა შობილსა
მაქვს სიყვარულის ღაღადი:
ჩიტი სადაც გაიზრდება,
იქ არის მისი ბაღდადი“.

მისთვის არ არსებობს ერი, არის მხოლოდ მუშათა კლასი და მისი ოცნებაა ყველა ერის მუშათა კლასის გაერთიანება.

„გაუმარჯოს მთელი ქვეყნის.
შეერთებულ პროლეტარებს“.

ხეჩუაშვილის მუზა თავისებურია: ის არც ბულბულს ეტრფის, არც ვარდს, არც სატრფოს სილამაზეს; ის არის მუზა ბრძოლისა და მუშური სულისკვეთებისა.

პროლეტარული აზროვნება პოეტს წიგნებიდან კი არა აქვს შეძენილი, არამედ თვითონ არის თავიდან ბოლომდე გამოკვერილი მუშური მსოფლმხედველობის გრდემლზე.

„ქვეყნად გაჩენა ღელვაა,
ქარიშხალია, ზვირთია“.

სიცოცხლე ქარიშხალს გარეშე მას უქმ ტვირთად მიაჩნია.

ქარიშხალი ხელთ უპყრია მუშათა კლასს, რომელმაც უნდა დაანგრიოს ძველი ცხოვრება და მოსპოს მუქთახორობა, ერთისაგან მეორის ჩაგვრა.

ხეჩუაშვილი სრულის იმედით შეჰყურებს მომავალს; უიმედობა, ყოყმანი, სასოწარკვეთილება, უკან დახევა მან არ იცის და წითელის დროშით ხელში აღფრთოვანებული შეჰყურებს ბრძოლის ცეცხლს, რომელშიაც იბადება და მტკიცდება სრულიად ახალი წყობილება.

ბრძოლაში გამარჯვებისათვის ერთი საუკეთესო იარაღია სწავლა.

„სინათლის ბურჯი სწავლაა
მის ყავარჯენი წიგნია“.

პოეტის რწმენით სწავლა და წიგნი განსაკუთრებით საჭიროა მუშათა კლასისათვის.

ხეჩუაშვილი მარტო ბრძოლის მგოსანი არ არის,—ის არის მანქანების მგოსანიც.

მანქანების გრიალი პოეტისათვის ერთგვარი კონცერტია, რომელიც საუკეთესო მუსიკასავით ატკბობს იმის სმენას. მანქანების ხმაურში უსათუოდ არის თავისებური მუსიკა, რომლის გადათარგმნა პოეზიის ენაზედ მეტად ძნელია.

ასახვა ამ მუსიკისა ხეჩუაშვილს საკმაოდ ეადვილება.

ხეჩუაშვილი შემაერთებელი ხიდია ორი ერის მუშათა კლასს შორის და მისი ჯანსაღი, იმედიანი და მუდამ მომავლისაკენ მზირალი პოეზია სრული თავდებია იმისი, რომ მუშა ხალხს შესწევს ძალღონე მარტო ცხოვრების გარდასაქმნელად კი არა, სილამაზისა და მშვენიერების ახალი კოშკების ასაგებადაც.

ვაშა გიგო ხეჩუაშვილს!
გამარჯვება იმის მისწრაფებას.

„გაუმარჯოს მთელი ქვეყნის
შეერთებულ პროლეტარებს!“

ივ. გომართელი.

მერე მე რა?

(ოსკარ უაილდიდან? — (ალონაწყვეტი გიშრის კრიალოსნიდან))

დავამთავრე! დავამთავრე!
აჰა, ოსტატო, ჩემი პირმშო შემოქმედება!

შენ გეღიმება?
შენ არ მოგწონს იგი?

— ოო, ჩემო მუყაითო შეგირდო! ეტყობა შენ ჯერ არ გიგემია სევდა სიყვარულისა...

კარგი!

—

უჰ, რამდენ ხანს მოვუნდი! რა ერთგულათა ვმუშაობდი!..

— აჰა, ოსტატო! ესეც ჩემი მეორე ხელით შემოქმედება!

შენ სახეში მე ვერა ვხედავ აღფრთოვანებას...
ნუ თუ კიდევ?...

— ოო, ჩემო შეგირდო! ეტყობა შენ ჯერ არ გიკვნესია ტანჯვით სიყვარულისა...

კარგი!

—

დღე და ღამე სულ დამავიწყდა.
გავაასკეცე უნარი ჩემი, ვიწურე ოფლი
და დავამთავრე კიდეც...

— აჰა, ოსტატო დიდებული ქანდაკება! ნუ თუ ამასაც არ მიიღებ?

— ოო, ჩემო საყვარელო შეგირდო! ეტყობა შენთვის ჯერ უცხოა წამება სიყვარულისა...

კარგი!

—

დღე. ღამე. კვირა. თვე.
უსვენებლივ. გვერდ-მიუხედავად.
არც ცნობა მთვარისა. არცა— მზისა.
სულ შრომა,
შრომა და
შრომა...

— აჰა, ოსტატო, ჩემი უკანასკნელი ქანდაკება!

მიწაზე მდგომს აღარ ძალმიძს შევქმნა ამაზედ ულამაზესი, ამაზედ ღვთაებრივი და მოვსწყდი კიდეც.

სულ ამას ვანაცვალე მთელი ძალ-ღონე,
ოსტატო!

შენ ხელებსა შლი აღტაცებით!
შენ ეხვევი ჩემს ქანდაკებას!
შენ ჰკოცნი!
სტირი!

მაგრამ მერე? მერე?
ხომ შევქმენი ღმერთთა სადარი ქანდაკება!
და ეხლა რაღას მიპირებ? რაღას?

— იშვიათო შეგირდო! არა! დიდებულო ოსტატო! ამაზედ უკეთესის განსახიერებას ვეღარ ეღირსოს ადამიანის მარჯვენა!..

— მერე მე რა?...
— მერე მე რა?..

ლევ. მეტრეველი.

სიმღერის წარმოშობა

უწინარეს ყოვლისა პირველ დღეებში შექმნილნი ბზე და მთვარე იდგნენ ცის სივრცეში გაშეშებულნი, უმოძრავნი და უცდიდნენ დაყურსებული ყურთა სმენით პირველი კაცის გულის ამოძრავებაა-ძგერებას. მოისმინეს თუ არა ცის სივრცეში სადარაჯოზე მდგომთ მზემა და მთვარემ პირველი ადამიანის პირველი გულის ამოძრავება, მაშინვე დაარტყეს მათ ამ გულს მოშიზნებული სხივი, იწყეს უსაზღვრო სფეროს კიდითი-კიდეში სრბოლა და შეაქებდნენ ტკბილი საგალობლებით შემოქმედის მძლეთა-მძლეობას.

ტრ. რამიშვილი.

სიყვარულის საზღვართან

პიესა სამ მოქმედებათ.

(გაგრძელება *)

ელპ. შენ გამო, გუშინს აქეთ ეს მეორედ შევძრწუნდი.

შერ. როგორ?

ელპ. გუშინ შებინდებისას ბარათაშვილის ქუჩით შინ ვბრუნდებოდი. უეცრივ ერთი სახლის შესავალი კარებიდან თვალი შევასწარ ქალვაჟის მხურვალე კოცნას. ჩემი მოახლოვებისას კისკისით შიგნით შევარდნენ და კარებიც მიიხურეს.

შერ. მერე?

ელპ. ამ სურათის დანახვაზე თვალთ დამიბნელდა და კინაღამ წავიქეცი.

შერ. მე თუ გეგონე.

ელპ. თუ არ ტანისამოსი, მსგავსება იყო მეტად განსაცვიფრებელი.

შერ. ახ, მეგობარო! რომ იცოდე როგორ მამცირებ მაგ უსაფუძვლო ეჭვებით. სინიდისს გეფიცები, რომ ბარათაშვილის ქუჩაზე არა თუ გუშინ, საზოგადოთ სულ არ ვყოფილვარ.

ელპ. მჯერა, მჯერა. ამაში მალე მე თვით დავრწმუნდი. მოდი შევრიგდეთ. (გაუშვერს ხელს და ჩაეკონებიან ერთმანეთს. როცა გამოერკვევიან) აბა ეხლა ანგარიში ჩამაბარე, ეს ხუთი დღე რას აკეთებდი?

შერ. ვინ გაიგებს ჩემს გზა-კვალს. მას შემდეგ, რაც გაგიცანი, მოლოდ იმაზე ვფიქრობ, შენთან გაერთიანებული, როგორის ძლიერებით აფრინდები პარნასის მწვერვალზე და მედიდურად გადმოვხედავ ცოდვილ ქვეყანას.

ელპ. რომ იცოდე, სიხარულო, როგორა მხიბლავს შენი პათოსი! კიდევ სთქვი რამე, კიდევ!

შერ. მეტი რა გითხრა, სულო ჩემო. ხომ ნათლად გესმის ამ გულის ძგერა: დადგა ჟამი, როცა ჩვენი ანდამატი ამოძრავდა ტ გაშმაგებული მიილტვის ერთი მეორისაკენ. ჩვენ შორის უკვე გაიბა სულის მორთოლვარე ძაფი ტ გამოსცემს იგი იმ სანეტარო ბგერას, რომელიც ჩვენი სხეულის სახსრებით გაიკიდლევს უცხო მელოდიით და შეჰქმნის ბედნიერების საოცარ სიმფონიას, რათა დაანთოს სიყვარულის კოცონი და თავს

*) იხ. „თეატრი და ცხვ.“ № 1.

კაციც გულდასმით უსმენდა ცის მნათობთა ამ ჰიმნს და მასთან ერთად უსმენდა მთელი დედამიწის ქმნილებაც, უსმენდა და ბოლოს ისიც შეუერთდა მათ გუნდს და მასთან ერთად ამღერდა მთელი ხილული და უხილავი ბინადრობა ამა სოფლისა; შეუბანეს ხმა ოთხფეხმა, მხეცებმა, ჰგალობდნენ ფრინველნი, აჟღერდა ლითონიც, ახმაურდა და გაისმა ხმა ქალებში, ველს, მინდორს, მთა-ღრეში, წყლის სივრცეში, მაგრამ ყველაზე უმაღლესი და უმშვენიერესი სიმღერა იყო—სიმღერა კაცისა.

რიუკკერტი.

ოხ, ტკბილო სიმღერავ, შენ დაგიგდებენ ყურს აქაფებული და აბობოქრებული ზღვის გონავრებული ტალღები, შენ შეაყენებ ცაში მონავარდე ფრინველს, შენ იმონებ გაონავრებულ მხეცს!

ოჰ, ტკბილო სიმღერავ, შენ აჯადოვებ და ჰხიბლავ ადამიანის გულს..... ყურს არ გამოეპარება არც ერთი მოძრაობა ამ ჟღერისა, რომელიც ისევე ასაზრდოებს და ამაგრებს ადამიანის სულიერ ვითარებას, როგორათაც ორგანიზმს ტკბილი ღვინო; ყურიც და სულიც ხარბათ შეისვამენ და შეითვისებენ კეთილხმოვანებას; კლდეები ეხმაურებიან და მეორეს ელტვიან მეცხვარის მორაკრაკე გულსაკლავ ტკბილ სიმღერას სალამურისას; უდაბნოში გავეშებული აქლემის გულს უხარის, ოდეს ისმენს სიმღერას თავის მოდგმისას, იშლებიან ყვავილები, ეკლიან ბუჩქზე იშლება ვარდი, ოდეს ისმენს ბულბულის ნაზ, გულსაკლავ სიმღერას... ეკალსა და კლდეზე მაგარი და გავეშებულ აქლემზე უგრძნობი უნდა იყოს კაცის გული, რომელსაც ვერააძგერებს და აღაგზნებს სიმღერა. (ჰერდერი.)

სიმღერის წყურვილი—საერთო წყურვილია, რომელსაც ყველა იკლავს თავისებურად მღერის ანუ, ყოველ შემთხვევაში, უყვარს სიმღერა ყველას, ვისშიაც კი ღვივის ცოტაოდენი გრძნობა სიმშვენიერისადმი, ვისი გულიც არ არის დახშული და დახურული სულის მგრძნობიარე განცდათათვის, ვინც სცხოვრობს ადამიანურის მთელი სიცოცხლით.

დრეკსლერი.

ვინც არ არის მატარებელი ჰარმონიისა, ვის გულ ასყურსაც არ ეგუება მუსიკა, იგი შეიძლება იყოს მატყუარაც, მოღალატეც; მისი გულისა და სულთა ზრახვანი ისევე წყვდიადით არის მოცული, როგორათაც უკუმი ბნელი ღამისა და შურისძიება მისი ისევე საშიში და შავია, როგორც სახე არაბისა,—ამისთანა კაცს ნუ მიენდობი. (შექსპირი.)

გამოჩენილმა პოეტმა და არა ნაკლებ ჭკუამახვილობით ცნობილმა ჰეინემ ერთხელ სთქვა: „ხალხი პირველ გაჩენისას მღეროდა, ხოლო შემდეგ ისწავლა ლაპარაკიო“. ამ ორიგინალური და, ცოტა არ იყოს, გაბედულ სიტყვებისთვის პოეტი მისმა მეტოქეებმა სხვა სახელით მონათლეს, სხვა დასკვნა გამოიყვანეს; მაგრამ არა, ამ ორიგინალობასა და საეგებიო აზრში ბევრია სიმართლე.

ამა თუ იმ სამუსიკო იარაღის გამოგონებიდან, რომელმაც შემდეგ ადამიანი ჰარმონიული ხმათა შეწყობით დაატკბო, კაცმა თავის ხმით შეაქო ის, რაც ათრთოლებდა მის გულს; რითმიული ტკბილი ხმა გაბნეულია სამყაროში; იგი გამოისმის ქარის გუგუნში, ფოთოლთ შრიალში, ზღვის აქაფებულ ტალღების გრგვინვაში, მთის ცივი წყაროს რაკრაკში, გავარვარებულ ალის გუზგუზში, ოთხფეხთ ჩმუილში, ფრინველთ სიმღერაში, მწერთა სისინში და სხვა...

დაიდგას მოელვარე გვირგვინი, უმწვერვალესად გამახვილებული ვნებათა ღელვა.

ელპ. ახ, ეს მათრობელა სიტყვები! ვგრძნობ თავი გავიწყდება.

შერ. ოხ, ელპიდა, შენი სხეული მუსიკაა! დეე, გამოუქროლოს მას ჩემმა გიჟურმა ვნების ქარიშხალმა და ააჟღეროს იგი საოცნებო ჰანგებით. ეს იქნება მუდმივი წვა, ჟინმორევით გაფითრებული ჩვენი ყოფნისა, ტკივილი სანეტარო, რომელსაც მივყევართ თავდავიწყებამდე, ნირვანამდე, სადაც არა არს-რა გარდა ჩვენი მფეთქავი გულებისა. (ერთმანეთს ჩაეკვრებიან).

ელპ. (გამოერკვევა) კმარა, ჩემო თმა-ქოჩორავ, არავინ დაგვინახოს?!

შერმ. სიცოცხლევ, ნუ ჯიუტობ, ნუ ჩამომადნე, მოდი მეწვიე დღეს და...

ელპ. კიდევ დაიწყე? (თითს დაიქნევს) არ გამაბრაზო!

შერმ. (დგება და მხრების აწევით) ვერა გამიგია რა?

ელპ. გადაჭრით გიცხადებ, რომ სანამ ამ ოჯახში ვიმყოფები, ვერ გავხდები შენი ცოლი!

შერმ. რისა გეშინიან?

ელპ. მრუშობის... რამდენჯერ უნდა გითხრა!

შერმ. ხა, ხა, ხა! ისევ ძველი ზღაპარი. ეს გაცვეთილი სიტყვა სამუდამოთ უნდა ამოიშალოს თანამედროვე ლექსიკონიდან.

ელპ. ხმა, კრინტი! მაგის თქმა იმას შეუძლია,ვისთვისაც ზნეობრივი პრინციპები უცნობი ხილია. კავშირი ჩვენი უნდა იყოს ლამაზი და წმინდა ვით ანკარა წყარო. შენგან არას დროს არ უნდა მოვისმინო სიტყვები საეჭვო და არა მგოსნური.

შერმ. კარგი, კარგი! შენ მართალი ხარ.

ელპ. მე გადავწყვიტე დღესვე გამოუტყდეთ გიორგის და მერე ლაღად ჩავებათ ახალი ცხოვრების ფერხულში. სიცოცხლევ! უნდა იცოდე რომ მოუთმენლად მოელის ეს ჩემი, შენთვის მფეთქავი, გული იმ ნეტარი წუთის მოახლოვებას.

შერმ. ელპიდა, ელპიდა! აღსრულდეს ნება შენი, თუმცა თავის შეკავება კი ემჯობინებოდა ჯერჯერობით.

ელპ. რატომ?

შერმ. ჯერ ვიქორწილოთ და მერე ვუთხრათ.

ელპ. შერმანდი!

შერ. მინდა ვიცოდე რა გაიძულებს ასე მოიქცე?

ელპ. შენდამი ტრფობა და უზომო წყურვილი შეერთებისა.

ბუნებრივია ვიგულისხმოთ, რომ ადამიანის ყურმა მოისმინა რა ყველა ეს, თავისდაუნებლიეთ შეჰკრიბა ყველა ეს ხმები, შეჰკრა ერთ კონათ. იქ, ორგანიზმის საიდუმლო ულრმეს ნერვებში და აი, როდესაც იმავე კაცს მოუნდა გამოხმაურებოდა თავისი, ასე რომ ვსთქვათ „მე"-თი, რომელიმე მოვლენას, იგი გამოეხმაურა გაგრძელებული წართქმითი ხმით.—

ამნაირად, კაცმა ბუნეპას მოუსმინა ჰარმონიული ხმები გაბნეული სივრცეში, შეჰკრიბა ერთად და იგინი ჩვენ დაგვიახლოვა მოსასმენად; ამ ტკბილი ხმებისაგან მან შეჰქმნა ერთი პოეტური ენა, რომელსაც შთაჰბერა საკუთარი გულისა და ფანტაზიის სიცოცხლე და აამეტყველა. გაჩნდა ამნაირად ერთი იდეალური საერთაშორისო ენა და ეს ენა არის ხმების შეწყობა სიმღერის სახით.

ღრმათ შეტოკებული, ნერვებით აღტაცებული ადამიანი ვერ მოითმენდა და ვერ დამუნჯდებოდა, მისთვის საჭირო შეიქმნენ ამ ხმებთან სიტყვებიც, რომ ამით გამოჰხმაურებოდა ბუნებას, ამით მიეცა ქარისთვის მაინც გულს პოწოლილი გრძნობები.

და აი, ამ ხმებით გამოხატულ გრძნობებში გამოისმის მთელი დიდი საიდუმლოებით აღვსილი ისტორია ადამიანის ტანჯული გულისა.

ვიცი იკითხავთ,—რა არის შინაარსი ამ ტანჯული გულის ისტორიისა? რა არის ის წამება, რომელიც ასე მომაჯადოებელი ენით ამეტყველებს მას?

ისტორია ამ ტანჯულის გულისა და ამ გულის განცდისა არის სიყვარული, რომელიც უხილავის ქვეყნიდან უხილავ ძალას მოუზიდავს და უხილავად შთაუნერგავს ჩვენს გულში, რომელიც აღავსებს მთელს ბუნებას, რომლითაც ღონიერია და ცოცხალ არს ადამიანი.

პირველი სიმღერა გამოწვეული იყო სწორედ აი ამ გრძნობის ძალით, რომელსაც ჰქვიან: სიყვარული. სიმღერა გულში იბადება, იგი გულიდან მიმდინარეობს და გულთანვე ილტვის.

არ იყო და არც იქნება იმისთანა გული, რომელსაც არ სწყურებია და არც სწყუროდეს სიყვარული.

არ იყო და არც იქნება იმისთანა გული, რომელსაც არ სწყუროდეს სიმღერა; სიყვარული ბუნებრივია და გულწრფელი. ამიტომ სიმღერაც ბუნებრივი და გულწრფელია.

იგინი – სიყვარულიც და სიმღერაც,— თანაბარი ქანაობაა ჩვენს გარემო ჰაერისა.

იკითხავთ, ვინ არის ეს უხილავი არტისტი, რომელსაც ხელთ უჭირავს ჩვენი გარემო ჰაერის საჭე და ხან აღგვაფრენს, ხან ძირს დაგვიშვებს, ხან გვატირებს, ხან გვაცინებს, გვაღონებს, ხან ცრემლს გვაღრევინებს, ხან გვამხნევებს, ხან გვაძაბუნებს?

ეს უხილავი არტისტი არის ნერვების აგზნება სილამაზისთვის, ამ აგზნების შემოქმედების შინაარსი კი სიხარული და ტანჯვაა.

უხაროდა კაცს, როცა იგი უერთდებოდა თავის სილამაზეს, ვისთანაც უნდა ენახა მოსვენება, უხაროდა და მღეროდა. მღეროდა ისევე, როგორათაც გაზაფხულზე ჩიტები უმღერიან ხოლმე შორიდან ბუდეში ბლარტებს. კაცი მღეროდა იმიტომ, რომ სიყვარული მღერის.

ამნაირად სიმღერა—სიყვარულია, სიყვარული—სიმღერაა.

აი, საიდან იწყება სათავე იმ ხელოვნებისა, რომელსაც ჰქვია მუსიკა და რომლის შინაარსიც არის სიმღერა სიყვარულისთვის.

ია კარგარეთელი.

შერ. თუ კი ესეა, რა დაშავდებოდა იმით, რომ შ ერთება წინ წარუმძღვაროთ. სხვა დანარჩენ ცერემონიალს.

ელპ. მე ვსთქვი და გავათავე.

შერ. ელპიდა, მე წავალ და ისე კი როგორც გენებოს.

ელპ. წადი, არ აგიხირდები. ეს საკითხი მე უნდა გადავჭრა.

სალ. (შემოდის ქართულ ტანისამოსში) აი, მეც მოვედი. (შერმანდს) აა, მოსულა, მოსულა დაკარგული კაცი. გწყალობდეთ მამადავითი!

შერ. ქალბატონ სალომეს! (ხელს ჩამოართმევს ზარი დაირეკება)

სალ. აბა, ალბათ გიორგია.

შერ. (მარჯვნიდან მარცხნივ გაირბენს დერეფანში)

სალ. აბა, ეხლა ცოტა ხნით გაგეცლებით! (ელპიდას) შვილო, გამომყევი, რამე უნდა გითხრა. (შედის მარცხნივ ოთახში).

ელპ. (შერმანდის ნაზი ღიმილით) არ მოიწყინო!.. (ისიც დედასთან შედის)

გიორ. (შემოდის შუა-კარებიდან და შერმანდოს) ააა!! ძლივს ჩავიგდეთ ხელში დაკარგული კაცი!

შერ. გიორგის ჩემი სალამი! (ხელს ჩამოართმევს მოწიწებით).

გიორ. ვითომ რაო, ასე რო მოგვანატრე თავი?

შერ. იყო მიზეზი!

გიორ. რა მიზეზი?

შერ. საშური საქმეები მქონდა და მასთან ეს ორი დღეა შეუძლოთ გახლდით.

გიორ. ჰოო, ეს სულ სხვა საქმეა, თორემ უთუოდ ჩიუბს აგიტეხდი.

შერ. ახ, რა სასტიკი ხართ!

გიორ. ნუ დაივიწყებ მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ხუთი დღეა არა გვესმოდა რა თქვენი, გესმით ხუთი დღე. ეს ხომ მთელი საუკუნეა!.. (მარცხნივ კარებიდან შემოსულ ელპიდას) ელპიდა! დღეს უთუოდ უნდა წაგვაქეიფო. უწინარეს ყოვლისა შერმანდომ უნდა წაგვიკითხოს თავისი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი პოემა.

შერ. თქვენ ეს ვინ გითხრათ?

გიორ. ერთმა ვინმემ.

შერ. ალბათ ნიკომ.

გიორ. ეს სულ ერთია. (ელპიდას) პოემის შემდეგ ქალბატონო თქვენმა მუსიკამ უნდა დაგვატკბოს, ბოლოს კი მე და შერმანდო შევასრულებთ მურმანის და აბესალომის დუეტს.

ელპ. მე ეხლავ. (შედის მარჯვნივ).

გიორ. (შერმანანდოს) ბედნიერი კაცი ხარ, ჩემო ძმაო, დღეს მთელი საზოგადოება შენს შემოქმედებაზე ლაპარაკობს.

1893—სახალხო თეატრის დამაარსებელნი—1923

(სახალხო თეატრის არსებობის 30 წ. შესრულების და მისი იუბილეს გამო).

ის. ძნელაძე.

დ. შველიძე.

ამ. ნიკოგოსოვი.

ვას. **თეოდორაშვილი**—თავმჯდომარე, **იოსებ იმედაშვილი**—პირველი რეჟისორი-ხელმძღვანელი, **გიორგი ჯაბაური**—მთავარ როლების აღმასრულებელი, **მიხ. თუშმალიშვილი**—მუდმივი მოკარნახე.

ავქ. ცაგარელი.
რომლის პიესითაც დაიწყო სახ. თეატრი.

შერ. მაგდონი არაფერი, აზვიადებენ.

გიორ. კარგია ერთი, ნუ ინაზებით, ეხლა უნდა დაგაქორწილოთ და საქმეც ამით გათავდება. (შერმანდო პაპიროს მიაწოდებს. ორივენი მოუკიდებენ).

სალ. (გამოდის მარცხნივ კარებიდან) მოხვედი, შვილო.

გიორ. როგორც ჰხედავ. აბა, დედა, საპატიო სტუმარი გვეწვია, მიდექ-მოდექი.

სალ. აი, მივდივარ სამზარეულოში და თავის დროზე ყველაფერი იქნება! (გადის შუა კარებში)

ელპ. (შემოდის მარჯვნივ კარებიდან).

გიორ. (ელპიდას) აბა, ელპიდა, მუსიკით ვიწყებთ, შერმანდო, მოემზადეთ.

ელპ. მოიცა, გიორგი, მაგის დრო არაა.

გიორ. (გაოცებული) რატომ?

ელპ. დაგავიწყდა? აკი უნდა მოგლაპარაკებოდი!

გიორ. უეჭველად ეხლა?

ელპ. დიახ, ეხლა და სწორედ ეხლა?

გიორ. აქ რაღაც ამბავია. სთქვი, გისმენ.

შერ. ბატონებო ნახვამდის!

გიორ. როგორ, მიდიხარ?

შერ. (მტკიცედ) უთუოდ, ეს ძლიერ საჭიროა (ხელს ართმევს ორივეს და გადის)

გიორ. (ელპიდას) რაშია საქმე?

ელპ. ის, რაც მინდა გითხრა, ფრიად სერიოზული რამაა და შეგვეხება ჩვენ სამივეს!

გიორ. ვინაა ის მესამე?

ელპ. შერმანდო.

გიორ. შერმანდო?

ელპ. დიახ.

გიორ. როგორცა სჩანს, შენ ალარა ხუმრობ.

ელპ. არა, გიორგი, ამ წუთში ხუმრობა ჩემი მხრით დიდი დანაშაული იქნებოდა.

გიორ. სთქვი, სმენად ვარ გადაქცეული, თუმცა ვერ გამიგია, შერმანდოს რა უნდა აკავშირებდეს ჩვენ სამლოცველოსთან. მგონი მისი კარები გარეშეთათვის დაკეტილია. (პაპიროსის ნამწვს ბუხარში შეაგდებს).

ელპ. იმისათვის არა.

გიორ. (უეცრივ მოტრიალდება) რაო, რა სთქვი?

ელპ. მე და შერმანდოს ერთმანეთი გვიყვარს.

გიორ. ეს მეც ვიცი, მერე?

ელპ. (ოდნავ შეკრთება) რა იცი?

გიორ. ისა, რომ თქვენ მართლაც გიყვართ ერთმანეთი, მხოლოდ და-ძმურად. ამის შესახებ არა ერთხელ გითქვამს ჩემთვის, რასაც მე მუდამ წოფელის გულით ვესალმებოდი. (ნერვიულობა ემჩნევა).

ელპ. მაშ, ჩვენ შორის სხვაგვარი დამოკიდებულება ვერ წარმოგიდგენია?

სახალხო თეატრის დრამატურგნი

(პირველი ხანა)

გ. ერისთავი.

ვ. გუნია.

გ. სუნდუკიანი.

ან. ფურცელაძე.

გიორ. წარმოუდგენელის წარმოდგენა ჩემს ძალღონეს აღემატება. იცი, თუ სხვა რამე სათქმელი არა გაქვს რა, მოდი მაგ თემაზე ლპპარაკს თავი დავანებოთ. მე ის ძალზე მაღიზიანებს.

ელპ. რას იტყოდი, რომ...

გიორ. (გაიწყვეტინებს, ცოტა ნერვიულად) ახ, ღმერთო, რას ჩამაცივდა. იმას ვიტყოდი, რომ ნეგობარი გადამიდგა და ცოლი გამიროსკიპა მეთქი.

ელპ. მიუხედავად ამ წინასწარი შეურაცხყოფისა და სხვა მოსალოდნელ დამცირებისა, ვალად ვრაცხ თავს გამოგიტყდე, რომ მგოსანი შერმანდო ჩემი სატრფოა.

გიორ. (აღშფოთებული) წყევლა და კრულვა! (ორსამ ნაბიჯს წინ გაირბენს მისკენ).

ელპ. (ოდნავ შეჰკივლებს და უკან დაიხევს). გიორგი, რას სჩადი!?

გიორ. (უეცრივ შედგება) ნუ გეშინია, არას გერჩი, (დიდი ტრაგედია იხატება) ეს უცაბედი წამოყვირება, გამოიწვია უზომო ტკივილმა, ვინაიდან ზარდამცემი აღსარებით კინაღამ დამიწყვიტე სულის ძაფები. სულსწრაფი ხარ, ელპიდა, სულსწრაფი, განა უმჯობესი არ იყო ეს იშვიათი ჯილდო ჩემი დღეობისათვის შეგენახა?!. ყოველ შემთხვევაში მინდა ვიცოდე, რა დაგიშავე, რისთვის დამითალხე ლამაზი ყოფნა, რისთვის გამწირე, სწორედ მაშინ, როცა უკვე შემიქმენი პირადი კეთილდღეობის „საიმედო ფუძე—ოჯახი და მოჭკაზმე იგი ბედნიერების შარავანდედით. მითხარ, დიაცო, მითხარ დიაცო, მაგ ყოფამდე რამ მიგიყვანა?.. ან ვით მოიხმე ჩემდა რისხვად ბედი--შავბედი?! (დაეშვება სავარძელზე, მიაყრდნობს თავს მაგიდას და წასქდება ნელი ქვითინი, რომელიც მალე მიწყნარდება).

ელპ. (მწუხარებით) ახ, უზენაესო, რა დღე გამითენე. (უეცრივ წელში გასწორდება) გიორგი!.. რაკი დავიწყე ყველაფერს გულახდილად გეტყვი: კარგი ქმარი იყავი შენ. ჩემთვის, შეძლებისდაგვარად მეც გიხდიდი სამაგიეროს. ცხოვრება ჩვენი მიმდინარეობდა უდისონანსოდ, მშვიდად და წყნარად, მაგრამ გამოჩნდა ჩემი ცხოვრების ასპარეზზე სხივმუნარე ეროსი და წარიტაცა არსება ჩემი. დიდი და საკმაოდ ხანგრძლივი სულიერი ბრძოლის შემდეგ ჩავიხედე გულის სიღრმეში და ნამდვილი სიყვარული მხოლოდ მაშინ განვიცადე. ეს არის და ეს. გამასამართლე, ველი განაჩენს.

გიორ. (წამოდგება) რა უფლება მაქვს. ეხლა დაგვრჩენია, დედა-შენს მოვახსენოთ ამის შესახებ და მერე-კი გზა მშვიდობისა. (დერეფანში გა-

ჩემი რკალი

ღამეა ჩუმი, და მაღლა ნისლია,
და შენზე ფიქრით ბევრჯერ ავენთები.
რა ვქნა გაფრენა მე არ შემიძლია,
რომ ვნახო ქვეყნის ყველა პლანეტები.

ჩემს ამგვარ გრძნობას ტირილს უძახიან,
წმინდაო ღმერთო! მე დიდხანს გელოდი.
სული—სხეულის ჩუმი ტუსაღია,
სული - უცნობი, სული—ანგელოზი.

მოდის დღე ახალი და ნელა ბერდება.
აქ დუმილია, ალბად იქ ტირიან.
გრძნობის კოკონი ისევ ძლიერდება,
და გრძელი ღამე ჩემი სიკვდილია.

მსურს წამოვიდეს დილა მტრედის ფერი,
და მივყვებოდე ქარში გასვენებას.
შუა ღამეა, რაღაც ვერ ვისვენებ,
და ეხლა მინდა იყოს გათენება.

ტერენტი ვრანელი.

კოტე მარჯანიშვილი

შარშან, თითქმის აი ამ დროს, სასწაულებრივი გარდატეხა მოხდა ქართული თეატრის ცხოვრებაში. მიბნედილი, სასომიხდილი, გაცრეცილი იგი მძლავრად შეინძრა და გარემო აალაპარაკა.

თქვენ გახსოვთ ალბათ „ცხვრის წყაროს“ პირველი წარმოდგენა. გახსოვთ ალბად ამ გუშინდელს უდაბნოში უხვად მოსული ხალხი, ჯერ კიდევ არ დაგვიწყებიათ ალმაფრენი, მსახიობნი რომ მოიცვა და გუშინდელი აჩრდილნი დღეს ბრგედ აამეტყველა. ძნელია ამ გამოცოცხლების ზეიმის დავიწყება. ეს შარშან მოხდა, თითქმის აი ამ დროს.

ქართულ თეატრს ჯადოქარი, სცენის მესაიდუმლე, მიმზიდველი ანდამატი მოევლინა, მაცოცხლებელი წყარო—ქართველი მსახიობის აქამდე მიდუნებულს. დაფარულს და ღრმად ჩამარხულს გენიას. უცბად დაენთო მხურვალე ცეცხლი ქართული მელპომენის მიმქრალ კერაზე, ათასმა ლამფიონმა მოელვარე თვალებმა შუქი მოჰფინა იმედით განმტკიცებულთ.

იდუმალი ძაფები, გრძნობებს რომ ჰფლობენ, აზრსა ჰქმნიან და მოძრაობას აცხოველებენ, იდუმალი ძაფები, ამ ცხოვრებას რომ ამრავლფეროვანებენ, და სასიხარულოდა ჰქმნიან, ხელთ უპყრია ამ ჯადოქარს, რომლის სახე სცენაზე ყოველთვის ხალისიანი და მზიანი არის.

ჰმუნვა არ არის მისი სამფლობელო, მას არ უყვარს მოდუნებული, უნიათო კუნთები და ღრმა სევდით დამჭკნარი სახე თავის სამფლობელოში. ლაღი, როგორც ჩვენი ბუნება, თვალწარმტაცი, მჩქეფარე სიცოცხლით სავსე, მკვირცხლი ხმაურით აჟღერებული, მოკისკასე, ლამაზი ფერადებით შეზავებული—ასეთი არის ამ ჯადოქარის სამფლობელო. ის, რაც გაურბის ამ თვისებებს და მას არ ეგუება,—ეს ხომ თეატრის გარედ არის. ყოველდღიურ ცხოვრებაშია და მის მუდმივ ჭაპანშია მომწყვდეული. ადამიანისათვის ესეცა კმარა: თეატრში მან შვება და სიხარული უნდა ჰპოვოს, ყოველი ფიქრის უკუმყრელი.

ყოველთვის დაჭიმული, ათასფრად მოძრავი კუნთები, გონება გამახვილებული, თავდავიწყებით აღტყინებული, ფერადთა და მძლავრ სიტყვათა ნაკადით უნდა იყოს ნასხურები თეატრის დიდი, მრავალფეროვანი და მრავალთვალიანი დარბაზი.

კარჩაკეტილი არ არის სამფლობელო ამ ჯადოქარის, მას სძულს ეს კარჩაკეტილობა, რომელიც ჰბორკავს, ჰმიჯნავს, აქუცმაცებს ყოველ საქმეს. კაცობრიობის გენიისათვის, მსოფლიოს შემოქმედებისათვის გადაუშლია მას თავისი გული და შინაური საქმეც, ამ გენიით და შემოქმედებით გამთბარი, უფრო მკვეთრია, თვალსაჩინო და უებარი. „ცხვრის წყარო“, „მზის დაბნელება“, „ლურჯი ობობა“, „გაყრა“, „ლოენერილ“, „მშვენიერი ელენე“, „ინტერესთა თამაში“, „გმირი“—ყოველივე ეს ნაკვესია ადამიანის გენიისა, ერთნაირად ძვირფასი, სათუთი და მდიდარი, რაკი იგი კაცობრიობას ემსახურება და ადამიანთ აკეთილშობილებს, მის საუნჯეთ ამრავლებს.

თეატრის მესაიდუმლემ იცის თვისებანი გენიის ამ ნაკვესების, ჰპოვა მან უჩინარი ძაფი, საუკუნოებით გაბმული ხალხთა შემოქმედებაში და დაუღგრომელი ხელით გააბა ქსელი ეროვნულ საუნჯეთა და საკაცობრიო შემოქმედებათა შორის.

ვა და ეძახის) მერიკო, დედას სთხოვე მცირე ხნით. (შემობრუნდება და ხელების კანკალით პაპიროსს მოუკიდებს).

სალ. (შემოდის იმ დროს, როცა გიორგიმ პაპიროსი ჩაიდო პირში). აი, მოვედი, რა გინდა?.. სტუმარი რა იქნა ქა?

გიორ. წავიდა. დაბრძანდი, საქმე გვაქვს.

სალ. (ჯდება) აბა, ვნახოთ რას მეტყვი, მხოლოდ ცუდი არა მითხრა რა, თორემ ისედაც სუსტი გული მაქვს.

გიორ. მაგის პირობას კი ვერ მოგცემ.

სალ. უი, დამიდგეს თვალები! რა სხვანაირად ლაპარაკობ? ნეტავი ისეთი რა უნდა იყოს?

გიორ. (ფეხდგომელა) დედა, ის რაც მე მინ- და გითხრა, სახუმარო საქმე არ არის. წინდაწინვე ვარ დარწმუნებული იმაში, რომ შენ, როგორც ძველი ადამიანი, როცა საქმის ვითარებას გაიგებ, ძლიერ გაჯავრდები, მაგრამ გთხოვ ძალლონე მოიკრიბო და შენებური სიფრთხილით მიუდგე ამ საქმეს.

სალ. კარგი, ნუ გამიწყალე გული, სთქვი ბარემ და მორჩი!

გიორ. დავიღუპეთ. დედა, ჩვენ ვიყრებით...

სალ. (წამოდგება) გამიქრეს დღე! რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი, როგორ თუ იყრებით?

გიორ. შენს ქალს სხვა უყვარს.

სალ. (მკაცრად) სანამ უკვენესია.

გიორ. დედა, დედა!.. სად არის შენი თავდაჭერა?!.

სალ. (გიორგის) თავი დამანებე. (ელპიდას) დავიჯერო, ისე გაქვავდა შენი გული, რომ გინდა მიატოვო შენი სანაქებო ქმარ-შვილი?

ელპ. (მტკიცედ) დიახ, დედა, უნდა მივატოვო! ეს მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი.

სალ. თუ კი ასე ჩამისამარებდი სიბერეს, განა უმჯობესი არ იყო სულ არ გამჩენოდი და ის ძუძუები, რომლითაც საზრდოს გაწვდიდი, მკერდზე მიმხმობოდა ან დროზე მენახა შენი თავი პაწია კუბოში! (გიორგის) ვინ უყვარს?

გიორ. მეგობარი შერმანდო. (შედის მარჯვნივ).

სალ. (შუბლში ხელებს შემოიკრავს) ვაი, ჩემს სიბერეს; ვაი, ჩემს მოსწრებას! (მიდის შუა კარებისაკენ).

ელპ. მოიცა, დედა მეც მომისმინე.

სალ. (კარებთან შედგება და ცივად) არა მსურს! (მიუთითებს მარჯვნივ კარებისაკენ) რა ქალმაც ის არ დაინდო, იმისას მე არას ვიწამებ.

ფარდა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აი, დიდი, თვალუწვდენელი გზატკეცილი, რომლითაც ხალხის გენიას ძალუძს სვლა და გაღრმავება.

აი დაუშრეტელი ნაკადი, რომელსაც ძალუძს ფრთა შეასხას ჩვენ მსახიობთა სახიობას, უსაზღვრო ზიდოს,—ნაკადი, რომელიც ხავსს არ მიაკარებს მსახიობთა გრძნობა-გონებას.

ჯადოსნური კვერთხით გაიპო გული მსახიობისა და გამოცოცხლებულმა ნაკადმა გააპოხიერა გრძნობა, მოძრაობა, თვალის იერი, ხმის ბგერა ჩვენი მსახიობისა. ის, რასაც მძიმე სუდარა ჰქონდა გადაკრული, ჩვენ თვალწინ გადაიფურჩქნა, ათასფერად აციმციმდა ალმასის წყალსავით. მოდუნებულმა ნებისყოფას მოკლებულმა ძალამ ჰპოვა გამოსავალი. დადუმებული ამეტყველება.

განა საჭირო კი არის მაგალითებით დასურათება იმისა, რაც ერთიან, მდიდარ და თვალუწვდენელს წალკოტს წარმოადგენს ჩვენს თეატრში? განა ყოველი ახალი თქმა დაფნის გვირგვინი არ არის, შემოქმედებაში მოპოვებული ჩვენი მსახიობის მიერ? განა ყოველი ახალი სახე, მიმოხვრა, მოძრაობა, სცენით რომ მოსჩანს, ჩვენი მსახიობის ხელახლად აღმოჩენილი ნიჭისა და უწარიანობის დაუსრულებელი სურათი არ არის? ნუ გვინდა მაგალითები—ამით სურათი მხოლოდ დაქუცმაცდება.

შარშან, თითქმის აი ამ დროს, სასწაულებრივ გარდაიტეხა ჩვენი თეატრის ცხოვრება. მიმზიდველი, სასომიხდილი, გაცრეცილი, ცივი ზამთრის ბურუსში გახვეული იგი მძლავრად შეინძრა და გარემო აალაპარაკა და თავის ზეიმად აქცია.

სცენის მესაიდუმლემ, ჯადოქარმა თავისი მოელვარე, სიცოცხლით სავსე თვალი დაჰკრა ზიძინებულს ქართულ მელპომენას და, ვით რაინდმა, გზა გადაუშალა მიზანი, ხალისიანი ცხოვრებისა. დადუმებულს მან აღმოხადა პირველი სიტყვა შემოქმედებისა, რომლის უკანასკნელი სახე—ქართული გენიის გაცისკროვნებული სახე—შორიდან უკვე თვალს გვიჭრის.

დღეს, ჩვენი ხელახლად ამეტყველების ჟამს, ჩვენს პირველს სასიყვარულო სიტყვას მოწიწებით ვუძღვნით ამ ჯადოქარს, თეატრის მესაიდუმლეს და რაინდს, რომლის სახელს დღეს დიდი სათუთობით ამბობს ჩვენი ხელოვნება.

პარ—დონი.

სუნთქვა იმედგით

სოფელი

ზაფხული. შუადღე. სიცხე. პაპანაქება და ბუღი, რომელიც ფარავს არე-მარეს.

თამამად შევიჭრ სოფელში.

ყველაფერი იწვის: რუები დამშრალან მეტის სიცხისგან. ხეებს შეჰხმობიათ ფოთოლი ზედვე. საქონელი დარბის, როგორც ცოფიანი ძაღლი. მუშები ანებებენ სამუშაოს თავს და გარბიან სახლებში.

დამწვარ ყანების კვამლი მიახლოვდება და მაღრჩობს:

— თითქოს ჩვენც უნდა დავიღუპნეთ მასთან ერთად.

— თითქოს უნდა დაიღუპოს სოფელიც. თუ არ მოვიდა ხვალ წვიმა, დავიხოცებით სიმშილისგან.

ისედაც ყანები ამოქამეს თაგვებმა.

ამბობენ თითქოს გოგირდმჟავა უებარი წამალია ყანის მოსარჩენად.

— ღმერთო გვიშველე, შენს ანბარად აქ მუშები ვიხოცებით.

— რად გვინდა ღმერთი? აგერ ხომ გესმით ხმაური ქალაქის. იქ ჩაქუჩს უკაკუნებენ გრდემლზე. იქ ბორბლები ტრიალებენ გამალებით. იქ გვიმზადებენ სანოვაგეს და საცაა მოვლენ.

— მაშ მოვა ქალაქი მანქანებით. მოიტანს წვიმას, სანოვაგეს, და დააფრხობს თაგვებს, ყანაში რომ არიან.

— ალბად იქ მუშები უცდიან ჩვენს შეხვედრას, და სიხარულით ერთმანეთს ჰკოცნიან.

— ჩვენც ვაკოცებთ მათ.

— გვიშველე ქალაქო!

ქალაქი

— ქალაქი. დილა. ჯერ სიჩუმე. თანდათანი აგუგუნება ქარხნების. მუშები გაუჩერებლივ მიეშურებიან სამუშაოთ.

და საყვირის საამური გუგუნი ფანჯრებთან.

ალბად ქალაქის ხმაური შეაძრწუნებდა ჯოჯოხეთს, ისე გაუდის რახრახი ეტლებს.

ნუ გეშინიათ ხალხო! ჩვენ ხომ გვიპირავს ხელში ჩაქუჩი:

აი, აქ ვადნობთ ლითონს.

— აქ ვქედავთ ყველა რკინეულებას.

— აქ ვამზადებთ ტანისამოსს.

— აქედან ვუგზავნით მცხოვრებლებს სინათლეს.

ხომ ხედავთ, აქეთ გამოიყურებიან ყველანი.

ვიკით ამ მთის გადაღმა სოფელი წვიმს: რამდენი ხანია აღარ გვსმენია იქიდან სიმღერა.

ალბად გაჭირვებამ ჩააჩუმა ყველანი.

ალბად სიმშილისგან დასცვინან მინდორს და საქონელსავით სჭამენ ბალახს.

— ჩვენ ვიხსნით მათ.

— რას აკეთებს ამდენი მაგარი მკლავი?!

— და ან ჩაქუჩი, გრდემლი და ქარხანა?

ბორბლების ტრიალი. დაზგების გადაშლა, და ელექტროს მძლავრი მადიანობა გაახარებს უდაბნოელებს.

მაშინ კი გამოიშლება ხალხი სადღესასწაულოდ.

ყველამ მივაშუროთ მანქანას, და ერთად სოფელთან ავაელვაროთ ქურები.

იქნებ ეს საქმე იტვირთონ მანქანებმა.

— გვიშველეთ მანქანებო!

მანქანები

თითქოს სარდაფში სიშავეა მანქანებთან: შავი ტუზები, მუხლები, რომლებიც ჩქარჩქარა იკეტებიან, ერთბაში ელექტროს შუქი, ბოლის სვეტები, ბუხრები აშვერილი, მაღლა ცას რომ სწვდებიან, და შუადღისას გახელებული გუგუნი

.ასეთი ბედი ერგო მანქანებს.

სოფელო, აქეთ ჩვენთან! ერთად დავანთოთ მუშური ცეცხლი, თუნდ მისი ალი ცასაც ასწვდეს.

— ერთად: ჩვენ მანქანებიო მოვხნათ მიწები.

დეე, მანქანებმა ამოზიდონ ზღვებიდან წყალი.

დეე, მანქანები ნუ შედრკებიან სიცხეში, და ჰაპანს შეუმსუბუქებენ საქონელს, ენები ძირს რომ ეთრევათ.

მანქანები ამოსწოვენ მიწიდან ნავთს.

მანქანები ააშენებენ დიდ ქალაქებს და სოფელსაც გაეღიმება ბედი.

ყანები აღარ დაიხრუკებიან უწყლოდ.

ყველგან გაჩნდება ჩანჩქერები.

და შეიმოსება სოფელი ფარჩით.

მაშინ კი ღმერთსაც გადაუხდით პანაშვიდს, და აღარ ვინატრულებთ მის წვიმას.

მაშინ ჩვენ სარწყავებს მიწითვე მოვრწყავთ:

— ხომ აჯეჯილდება ყველაფერი და გამოფიტული უწყლო დედა-მიწაც გაძღება.

საყვედურს აღარ მივიღებთ მისგან, რადგან მოვეევლინეთ შავები შავებს.

კაიუ პელი

თეატრი და ექსპრესიონიზმი

კაპიტალიზმის შეკრამ სახალხო მეურნეობაში ძირიანად შეარყია ძველი ეკონომიური წესწყობილება. თანდათანობითი განვითარების პროცესში კაპიტალმა დაიუფლა ცხოვრების ყოველი დარგი და თავისი დაღი დაასვა მათ.

რა თქმა უნდა, კაპიტალის ასეთ ბრწყინვალე მსვლელობას განზე ვერ გადუდგებოდა ცხოვრების კულტურული მხარეც და ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალი აქაც იპყრობს თანდათან ციხე სიმაგრეებს.

ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარება მიმდინარეობს უკვე კაპიტალიზმის უტყუარ ნიშნებ.ს ქვეშ და ვაქრულ-კომერციული ელემენტები ისეთივე ფაქტორებია ხელოვნებაში, როგორც ეკონომიურ სფეროში.

კერძოთ კაპიტალიზმის ყველაზე მეტი გავლენა განიცადა თეატრმა და კაპიტალიზმის უაღრესი განვითარების ხანა თეატრის დაცემის პერიოდია.

იწყება თეატრის მძიმე კრიზისი, რომელიც საერთო მოვლენათ იქცა ყველა ქვეყნებში.

თეატრმა დაკარგა თავისი წინანდელი მნიშვნელობა; ის ჩვეულებრივ კომერციულ, თანამედროვე მომენტისათვის დამახასიათებელ დაწესებულებათ იქცა.

თეატრის ცხოვრებაში იჭრება მწარმოებლის ხელი ანტრეპრენიორის სახით, რაც ვაჭრულ ელფერს აძლევს თეატრს.

წმინდა ხელოვნების მიზნები უკვე მეორე თუ მესამე რიგში გადადიან, უმთავრეს ადგილს იჭერს მოგება და ვაჭრული ანგარიში.

იწყება თეატრის დეკადანსი და მისი სწორი გზიდან აცდენა.

მაგრამ მეორეს მხრივ თეატრის კრიზისს წმინდა ფსიქოლოგიური სარჩული უდევს:

კაპიტალიზმის ჩქარმა განვითარებამ აჩქარებული ტემპით წაიყვანა კაცობრიობის ცხოვრება.

რკინის და ორთქლის ეპოქამ სათანადოთ გარდაქმნა ადამიანის ფსიხიკა და ორგანიზმიც კი. ცხოვრების აჩქარებულმა ძიმდინარეობამ, მანქანების და დინამოების ღრიანცელმა, მუდმივმა მოუსვენრობამ და ყოველდღიურ ცხოვრების თავბრუდამხვევმა სისწრაფემ და მრავალფეროვნებამ გამოიწვია ადამიანის ნერვების და კუნთების უაღრესი დაჭიმვა.

ორგანიზმის ასეთმა მუდმივმა დაჭიმვამ, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ თანამედროვე ცხოვრების კალეიდოსკოპისებურმა სისწრაფემ და მრავალფეროვნებამ მოღალა ადამიანის ნერვები და წონასწორობა დაუკარგა მას.

აქედან: მუდმივი მისწრაფება ახალისაკენ, თვალის მომჭრელ სანახაობისაკენ, მრავალფეროვნებისაკენ, რასაც არ შეუძლია დაღალოს ადამიანის ისეთაც დამძიმებული გონება, მაგრამ რაც წუთიერ შვებას აგრძნობინებს მის დაჭიმულ ნერვებს.

და იწყება განზე გადგომა ჭეშმარიტ თეატრისაგან, რომელიც აღარაფერს ეუბნება უკვე თანამედროვე მაყურებლის სულსა და გულს: სოფოკლე, ევრიპიდე, შექსპირი და სხვა ბუმბერაზები თეატრის მეტათ მძიმე და ძნელათ მოსანელებელი არიან თანამედროვეებისათვის.

და სრულიად შემთხვევითი არ არის ის, რომ შექსპირის ნახვა ლონდონის თეატრებში უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს დღეს.

გენიალური მწერალი და ადამიანთა სულის ზედმიწევნითი ძესაიდუმლე დავიწყებულია და მისი ნათელით მოსილი საბელი საუკუნეთა მტვერში იფლება თანდათან.

ძველმა თეატრმა ვერ გაუძლო ახალი დროის იერიშებს, მისმა ხერხემალმა ვერ გადიტანა მოზღავებულ ცხოვრების სიმძიმე...

***

თანამედროვე თეატრის მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ამერიკის ცნობილი „მიუზიკ-ხოლლ“-ი.

ნიუ-იორკი ყველაზე უფრო თეატრალური ქალაქია დღეს მთელს ქვეყანაზე. არსად არ არის იმდენი და იმავე დროს ისეთი მრავალფეროვანი თეატრები, როგორც ნიუ-იორკში.

მიუზიკ-ხოლლი ლოიკური დასკვნაა თეატრალური ხელოვნების დაცემის, ის ფოკუსია, რომელშიაც თავს იყრის ხელოვნების სხვადასხვა დარ-

გები; მიუზიკ-ხოლლის გაცნობა საშუალებას გვაძლევს ჩვენ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ თანამედროვე მაყურებლის გემოვნებასა და სიმპატიებზე

რა არის მიუზიკ ხოლლი?

ეს უზარმაზარი თეატრია ნიუიორკში, რომელიც იტევს 5 ათასს მაყურებელს. მიუზიკ ხოლლის პროგრამა შესდგება 15-20 ნომრისაგან. რამოდენიმე საათის განმავლობაში თქვენ აქ ნახავთ: ბალეტს, მოკლე დრამატიულ პიესას, მომღერლებს, კლოუნებს, იაპონელ აკრობატებს, ნასწავლ ძაღლებს და სხვა.

ამ თეატრის მთელი პროგრამა შესდგება დრამის, ცირკის, ოპერის და სხვათა ნომრების შერევისაგან. ამას გარდა პროგრამა აქ მეორდება დღეში ორჯერ და ასე მთელი სეზონის განმავლობაში.

ერთი და იგივე მსახიობი ერთდაიმავე როლს თამაშობს დღეში ორჯერ მთელი წლის განმავლობაში და ამას გარდა კიდევ მთელი დასი დროგამოშვებით მიემგზავრება პროვინციებში საგასტროლოდ.

რა თქმა უნდა, საქმის ასეთი დაყენების დროს შეუძლებელია რაიმე ხელოვნური შემოქმედებაზე ლაპარაკი, მსახიობი აქ ცოცხალი არსებიდან გარდაქმნილია მანქანად, რომელიც ვალდებულია ყოველ დანიშნულ დროზე წამოისროლოს ესა თუ ის სიტყვები და ასჯერ და ათასჯერ გაიმეოროს ერთხელ გაზეპირებული მოძრაობა.

შინაარსის მხრივ მიუზიკ-ხოლლის პროგრამა არაფერს არ წარმოადგენს, მაგრამ სამაგიეროდ მაყურებელს აქ საშუალება აქვს რამოდენიმე საათის განმავლობაში ათასნაირი თვალისმჭრელი სანახაობა იხილოს სცენაზე.

და ისიც კმაყოფილია ამით და მეტად ნასიამოვნები ბრუნდება სახლში.

ამერიკის მიუზიკ-ხოლლებს საკვეყნო სახელი აქვთ მოხვეჭილი.

ყველა ქვეყნების საუკეთესო არტისტები სიამოვნებით მოისწრაფიან ამერიკაში, რადგან მათ იციან, რომ ნიუიორკის „ჰიპოდრომი“ ოვაციებით მიიღებს მათ და ამას გარდა მათი არტისტიული ტურნე უსარგებლო არ იქნება.

სხვაგვარი თეატრები ამერიკაში ვერ ხეირობენ; მიუზიკ-ხოლლებმა და კინომ გადაყლაპეს მთელი თეატრალური ხელოვნება ამერიკის და ის მათი უტყუარი ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს.

ჩვენმა ეპოქამ შექმნა თეატრის მექანიზაცია. ამის ერთი მხარეა მიუზიკ-ხოლლი.

ასეთივე მდგომარეობაა დრამატიულ თეატრშიც. ის მოვლენა რომ თეატრი მომგებიან წარმოებად გარდაიქცა, ბორკავს მის შემოქმედებით უნარს. მწარმოებელ-ანტრეპრენიორის მიზანია რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება: ამისათვის საჭიროა, რომ დადგმაზე დახარჯული თანხა ერთი ათად იქნეს ანაზღაურებული, ე. ი. პიესა ხშირად უნდა იდგმებოდეს და თეატრიც სავსე უნდა იყვეს ყოველთვის ხალხით. ეს გარემოება აიძულებს ანტრეპრენიორს (თუ თეატრალურ ტრესტს ან სინდიკატს) განზე გადასდოს წმინდა ხელოვნების პრინციპები და დადგას ისეთი პიესები, რომელნიც უფრო შეეფერებიან საზოგადოების გემოვნებას და სიმპატიებს, თუ გინდ მხატვრულის მხრივ ისინი ძეტათ ნაკლები ღირსების იყვნენ.

პიესების ასობით განმეორება ერთდაიმავე სცენაზე ერთდაიგივე შემსრულებელთა შემადგენლობით სასიცოცხლო ნიშანწყალს ართმევს მსახიობებს და მარიონეტკებათ ხდის მათ.

მსახიობს უკვე თავისი ინდივიდუალური ვეღარ შეაქვს როლში, ის მექანიკურად იმეორებს ყოველს საღამოს ერთდაიმავეს და შემოქმედებითი ცეცხლი აღარ ღვივის მასში. ის ხდება ერთგულ, კეთილსინდისიერ მოსამსახურედ, რომელმაც უსიტყვოთ უნდა შეასრულოს თავისი უფროსის ბრძანება.

დრამატიულმა თეატრმა დაკარგა სული, გრძნობა, სიცოცხლე, მას ჩამოაშორეს ის თვისებები, რაც აუცილებელია თეატრისათვის.

ამით აიხსნება ის თავმრუდამხვევი სისწრაფე, რომლითაც მიექანება წინ კინემატოგრაფი.

კინო დამთავრებული სახეა გამექანიკებურ დრამატიულ თეატრის.

თეატრალური ხელოვნების დეკადანსი მარტო დრამატიულ თეატრისათვის არ არის ნიშანდობლივი:

ასეთივე მდგომარეობაშია ოპერაც, რომელსაც დიდის წარმატებით სცენის ოპერეტი.

თეატრის ასეთმა მდგომარეობამ შექმნა ის კრიზისი, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ უკანასკნელ ხანებში ლიტერატურაში. რასაკვირველია, თეატრის უნუგეშო მდგომარეობა არავისათვის არ არის სასურველი, და გამოჩნდენ ადამიანები, რომელთაც მიზნათ დაისახეს თეატრის გადარჩენა დაღუპვისაგან, მისივის სასიცოცხლო ნაკადების შემატება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თეატრის დღევანდელმა მდგომარეობამ ზოგიერთები სასოწარკვეთილებაში ჩაგდო; მათ დაკარგეს ყოველგვარი იმედი თეატრის გადარჩენის და ბოლოს მის სრულ უარყოფამდის მივიდეს. მაგრამ ასეთი აზრი თითოოროლა პიროვნებებს შერჩათ: მართლადაც რა იქნებოდა ჩვენი კულტურა, რომ ასეთი აზრი საყოველთაოდ გავრცელებული იყოს...

მაქს რეინხარდტი, გიორგონ კრეგი, ანტუანი, გრენვილ ბარკერი, მეიერხოლდი, სტანისლავსკი და სხვები,— ეს სახელები, რომელთაც მთელი თავისი უშრეტი ენერგია და სიყვარული შეალიეს თეატრის განახლების საქმეს.

ცდები თეატრის განახლებისათვის დაიწყო ორის მხრიდან: ერთი მიმართულება სცდილობდა თეატრისათვის მიეცა ახალი შინაარსი, თეატრი დაეახლოვებია ცხოვრებისათვის, თანამედროვე ლიტერატურისათვის. ამიტომ მოავარი საკითხი ამ მიმართულებისათვის იყო საკითხი რეპერტუარის შე-

სახებ. და ჩვენ ვხედავთ, რომ თეატრის ცხოვრებაში იკრება ახალი სიო, თეატრი უახლოვდება ახალ თანამედროვე ლიტერატურულ მიმართულებათ, რომელთა წარმომადგენლების ნაწარმოებები ფართო გასაქანს პოულობენ სცენაზე. ამას გარდა ახალმა თეატრმა, საზოგადოებაში მხატვრული გემოვნებისა და ესთეტიური გრძნობის გაღვივების მიზნით, პირი იბრუნა ძველ კლასიკებისაკენ.

და ჩვენ ვხედავთ, რომ რამპის კიდღები იხილეს ძველი საბერძნეთის დიდებული ტრაიდიკოსების ნაწარმოებებმა და აგრეთვე შექსპირმა, მოლიერმა და სხვებმა, რომელნიც აქნამდის დავიწყებულნი იყვენ.

თეატრი კვლავ დაუბრუნდა თავის მაღალ დანიშნულებას: ის ეხმარებოდა საზოგადოებას მხატვრულ გემოვნების გამომუშავებაში და ხელს უწყობდა მისი შემოქმედებითი უნარის გაღვიძებასა და გამოაშკარავებას. მეორის მხრივ თეატრის რეპერტუარი დაიწყო მასში ტეხნიკური გაუმჯობესების შეტანით, რაც ხელს უწყობდა პიესების მხატვრულად და დამთავრებულათ დადგმას. აქ თავი იჩინა თეატრის ბუნებამ—მისმა შემკრებითი ხასიათმა: უდიდესი ყურადღება ექცევა მხატვრობას (დეკორაცია), მუსიკას, ქანდაკებას, ცეკვას და ხელოვნების სხვა დარგებს.

ლამაზათ და ტეხნიკურის მხრივ დამთავრებულათ დადგმული წარმოდგენა ქმნის მთლიან შთაბეჭდილებას და აძლიერებს ეფექტს.

მაგალითისათვის საკმარისია მოვიგონოთ მოსკოვის სამხატვრო თეატრის წარმოდგენები...

იყო კიდე ერთი ცდა თეატრის განახლებისათვის, რომელიც გამომდინარეობდა ფუტურისტების მამამთავარ მარინეტისაგან, მაგრამ მარინეტს თეატრის შინაარსი არ აინტერესებს. მას უნდა თეატრი ბალაგანათ და კლოუნების სათარეშო არენად გადააქციოს. მარინეტის „რეცეპტი“ არაფერ ორიგინალურს არ შეიცავს, ის უფრო ციკისთვის გამოდგება, თეატრთან კი მას არავითარი კავშირი არა აქვს.

ასეთია თეატრის დაცემის და მისი განახლებისაკენ მიმართულ ცდების ისტორია.

უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში ლიტერატურაში და კერძოთ დრამატიულ ხელოვნებაში თავი იჩინა ახალმა მიმართულებამ—ექსპრესიონიზმმა, რომელიც აკრედეე სცდილობს ახალ გზებისა და მწვერვალებისაკენ მიუთითოს თანამედროვე თეატრს.

განვიხილოთ როგორია ეს მიმართულება?

შ. სპანიოლი.

დ ა ი ს ი

ქართული ორიგინალური ოპერა 3 მოქ. მუსიკა ზაქ. ფალიაშვილისა, ლიბრეტო ვალ. გუნიასი

(მოკლე შინაარსი)

მოქმედნი პირნი:

მალხაზ, 27 წ. კარის კაცი . Tenore.
კიაზო, 30 წლ. ასისთავი . . Barytono.
მარო, 19 წ. გასათხოვარი ქალი Soprano.
ნანო, მაროს თანშეზრდილი . Mezzo sorano.
ტიტო, ახალგაზრდა სოფლის ბიჭი Tenore.
ცანგალა, ხნიერი, ხუმარა კაცი Basso.

სოფლის ახალგაზრდა გოგო ბიჭები, მეომარნი, მლოცველები, ღმისმთველნი. მოქმე ფება სწარმოებს ისტორიულ ხანაში.

მოქმედება I. მაროანთ კარმიდამო. მარცხნივ სახლის დერეფანი, გვერდზე გზა. შორიდან მოსჩანს სოფლის ეკლესია. საღამოს ჟამია.

ნანო. ხალისიან გუნებაზეა, ღამის თევა იქნებაო. ლხინი მოგველისო. **მარო**. სევდიანია. როგორც დანიშნულს ცეკვა და ცქრიალი არ შემშვენისო. ესეც არ იყოს, ღამის თევამ და მზიარულებამ სევდა როგორ უნდა გამიქარვოს. სჯობს მარტო ვიყო, თორემ ხალხში წუხილი უფრო ამეწლებაო. **ნანო**. მესმის შენი ოხვრა მწველი, მაგრამ გულს ნუ გაიტეხ, ღმერთი მშველელია დაჩაგრულისაო. უნდა რამე გახარო. ვისაც ნატრობ, ჩქარა ჰნახავ. შენს დასტურს ელისო. მარო შეშფოთდება—„ნუ მწვავ, ნუ მდაგავ, სთქვი რაც გაქვს სათქმელი“. **ნანო**. მალხაზს ეხლავ ჰნახავ. მარო და ნანო ერთად ამბობენ: „ოჰ, შენ დიდო ღმერთო, მიჯნურთ შემაერთო. იყოს ნება შენი და ჭირს დაგვიხსენი“. შორიდან მოისმის მალხაზის ხმა. მღერის: „ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ შენ მზეო ამომავალო, განმსჭვალა შენმა სურვილმა, ვითა „შეშლილი დავალო“ და სხვ.—სიმღერას რომ გაათავებს, გამოჩნდება და ნანო შემოიხმობს ეზოში. თითონ ნანო გავა, მაროს დედას შეატყობინოს მალხაზის მოსვლა. მარო შემკრთალია. მცირე დიალოგის შემდეგ—მალხაზისა და მაროს სატრფიალო დუეტი: „ქალო რად შეკრთი, იწამე ღმერთი“, რომლის შემდეგ მარო გაუმხელს, რაკი მალხაზი დიდიხნობით გადახვეწილი იყო, იგი, მარო, დანიშნეს ასისთავ კიაზოზე. ეს საშინლად აღელვებს მალხაზს და საყვიდურით მიმართავს მაროს, მაგრამ გაოცდება ნანო და მაროს დედის სახელით სახლში მიიწვევს მალხაზს. მალხაზი გადის. გუნდი. ღამის მთველები ეკლესიისაკენ მიდიან. შორიდან ისმის სიმღერა: „სიყვარულმა დამწვაო“. ნანო შემოიწვევს მოზეიმე გოგო ბიჭებს. მათ შორის არიან ტიტო და ცანგალა. საერთო ჟივილ-ხივილი, შაირული დიალოგი ნანოსა, ტიტოსა და ცანგალას შორის. ბოლოს ყველა მიმართავს ცანგალას—შაირები დაიწყეო. მცირე პრანჭვის შემდეგ ცანგალა იწყობს მესტვერულ კილოზე შაირს: ბამუშ-ხამუშ გუნდი ჩაურთავს სიცილსა და სხვადასხვა გამოძახილს შაირობის დროს ტიტოსა და ცანგალას ჩხუბი მოუვათ. ერთმანეთს უტეგენ. გოგო ბიჭები აშველებენ. საერთო ჟრიამული. შემოდის მალხაზი და ამშვიდებს მოჩხუბართ და დაცინვით მიმართავს ცანგალას! „რაც მოგივა დავითაო—ყველა შენი თავითაო“. ეს ცანგალას არ ეჭაშნიკება და გულში ჩაიხვევს. იმართება ფერხული. ნანო შუაგულში გამოიყვანს მაროსა და მალხაზს. ფერხულის დროს ცანგალა განზე გაიხმობს ნინოს და ეუბნება—მიგიზდი ეშმაკობას, მაჭანკლობას ეწევი მაროსა და მალხაზს შორისო. კიაზოს ნუ ეხუმრები, გულფიცხი

კაციაო... ნანო ეუბნება—გირჩევ ენა შეიმოკლო, თორემ გაიბერტყებიო. ფერხულსა და მერე ლეკურის შემდეგ გუნდი სიმღერით გადის. მაროც მიჰყვება. მალხაზს უნდა შეაჩეროს იგი, მაგრამ მარო არა ჩერდება—უხერხულია ახლა ჩემი დარჩენაო. მალხაზი იტანჯება. მერე მუქარას უთვლის კიაზოს. შემდეგ: კვლავ მოინაღვლიანებს და იწყებს ჩივილს ბედზე: „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“ ო... მალხაზის არიის შემდეგ ფარდა ეშვება.

მოქმედება II. ეკლესიის გალავნის ერთ-ერთი კუთხე. ობაა, ღამისთევა. ირგვლივ მოზეიმე ხალხი. გუნდი მღერის—ვერვინ გვაჯობებს, თუ ერთად ვიქნებითო. ნუ მოიშლება ჩვენ შორის ცეკვა, თამაში და ლხენაო. სიმღერის შემდეგ ხალხი სცენიდან გადის. დიალოგია კიაზოსა და ცანგალას შორის. **კიაზო** უსაყვედურებს ცანგალას—უბედურობის მორბედი ხარო, ყურში უწყალოდ შხამს მაწვეთებო. **ცანგალა** უპასუხებს—მე ყოველთვის შენი ერთგული ვიყავ და ახლაც ასე ვარო. მხოლოდ შენი მარო ტრფიალებას შუაზე გიყოფს და მალხაზზე გაგცვალაო. კიაზოს ეს თავზარს დასცემს და იმ დროს, როდესაც ცანგალა გადის ღვინის მოსატანად, კიაზო მიმართავს თავის ბედს „სულო ბოროტო“-ს სიტყვებით. ამ არიის გათავებისას შემოდის კვლავ ცანგალა ხელადით და ყანწით. ეუბნება—მწყინს, რომ კარგი მახარობელი ვერ გამოვდექი, სამაგიეროდ, ღვინო შესვი და შიგ ჩაახრჩე შენი ვარამიო. გაბოროტებული კიაზოც ეუბნება „დამისხი—დამალევინე ეგ ღვინო ოხერტიალი, ეგება წაღმა ვიფიქრო სოფლის უკუღმა ტრიალი“. მერე, სმისა და სიმღერის დროს ცანგალაც აჰყვება კიაზოს. სიმღერის დასასრულ ორივენი გადიან. მარო უჩივის თავის ბედს: „არ სცხრება სევდა, ბოლო არ უჩანს“-ო... მწარე ოცნებით დაიწყებს: ....იგი შესთხოვს ბედის ვარსკვლავს, რომ ალთქმული ბედნიერება მიანიჭოს. ნანო ამშვიდებს მაროს, მაგრამ სალბუნი ვერა სჭრის და გაიძახის „ღღეთა ჩემსა გაზაფხულზე თავს დამატყდა მეხის ზარი“-ო მალხაზი ეუბნება—რა ხანია დაგეძებთო. როცა ნანო მარტო დასტოვებს მათ, მალხაზი მაროს ხელს დაუჭერს და ეუბნება: „მსურს შენთან მარად მახლობლად ვიყო და ხელთ მეჭიროს ეგ შენი ხელი“-ო. მარო უპასუხებს „ვგლოვობ დაკარგულ იმედსა და გაცუდებულ გრძნობასა“-ო... მალხაზი გამხნევებით ეუბნება: „ბედი ბრძოლად თუ გამიწვევს, მერწმუნე, რომ არ შევდრკები“-ო. მაგრამ მარო მაინც წუხილით უპასუხებს: „გულში ეჭვები მეზრდება, სულსა მიხუთავს, მაღონებს“-ო. შემოვა ნანო და აცნობებს, რომ აქეთ ხალხი მოდის და კიაზოც თან მოჰყვებათო, ქალები სთხოვენ მალხაზს მოერიდოს კიაზოს. მალხაზი უარობს, მაგრამ მაინც ქალები დაიყოლიებენ და მალხაზი გადის. **გუნდი** და შემდეგ **კიაზო**. ხალხი აღელვებული შემოდის: „ლეკი ბარში გადმოსულა, აუკლია სახლი კარი“-ო. რალას ვაკეთებთ, შევიარაღდეთ და მტერს თავზარი დავცეთო. გამოჩნდება კიაზო. შეეკითხებიან, მართალია თუ არა მტრის შემოსევაო. კიაზო ჯერ საღამს მიუძღვნის ხალხს და უპასუხებს—მართალიაო; მერე მოუწოდებს იქ მყოფთ, რომ ქვეყნის დასაცავად და ხალხის თავისუფლებისათვის ამხედრდითო, რადგანაც ხალხის თავისუფლება „მოითხოვს მსხვერპლსა დიადსა“-ო. ხალხი აღინთება შურისძიების გრძნობით და შეუერთდება კიაზოს დაძახილს „გვიძღოდეს დროშა ფერადი და მკლავი რკინა-ფოლადი“-ო, რომელიც ბოლოს ხორალურ გადაიქცევა. კიაზოს გამოაქვს დროშა და მის წინაშე ხალხი სასოებით ფიცსა სდებს ქვეყნის დაცვისას. მოისმის ზარების რეკა, რაც ხალხის გუგუნს გადაეხლართება და საერთო აღტყინების ჟამს ფარდა ეშვება.

მოქმედება III. იგივე სცენა, რაც მეორე მოქმედებაშია. განთიადია. **კიაზოს** ძალით გამოჰყავს მარო და საყვედურს ეუბნება „მე ვარდი გამიგონია ტურფა ყვავილი ბარისა... შენ კი, შენ, ჩემო ყორანო, თავზედ შავალეა დამჩხავი“-ო.. სიტყვის ფასი არა გცოდნიაო. მარო უპასუხებს ამაოდ მყვედრი, რადგანაც მე ისა ვარ, რაც წინად ვიყავიო. კიაზო მოაგონებს—„გულისმოსაფხან სიტყვებს ჩემს გასაგონად ამბობდი“-ო, მაგრამ თურმე „სხვის ტრფიალებას ლამობდიო“-ო. მარო თავსა მართლულობს—წინადაც გეუბნებოდი, ახლაც ვიტყვი—„ყვარებით არ მყვარებიხარ და შენც სიყვარულს არ მთხოვდი-“ო. კიაზო სასოწარკვეთილებით შესძახებს—„ის დღე დაიქცეს, რა დღესაც მე შენ საცოლედ დაგნიშნე“-ო მარო მიუგებს: „თუ ეგ გაწუხებს, ინებე, რითაც შენ დამნიშნე“-ო. (ბეჭედს უბრუნებს). ამის შემდეგ კიაზო მუქარით ამბობს: „სისხლი მწყურიან, სისხლი ორგულის, შენც მიმხვდარი ხარ, ვისიც მწყურიან“-ო.... „ჩემი ლხენა ახლა შურია“-ო. მარო ევედრება..... „ჰა“, შეიწირე ჩემი არსება, ჩემთვის სიკვდილი საამურია“-ო. მარო-კიაზოს დიალოგის დროს შემოდის აღელვებული მალხაზ—„კმარა“-ო. ამდენი კრძალვა-მალვა,—აწ-საზღვარი გადილახა“-ო ჯერ თავს შეიკავებს და კიაზოს მიესალმება: „კეთილი იყოს შეხვედრა ჩვენი“-ო. კიაზო უპასუხებს, რომ „მეომარი ვარ, ბრძოლად დავდივარ“—და ჩემი აქ არ ყოფნის დროს სატრფომ მიღალატა და ძმამ ძმობა დაჰგმოო. მარო ამშვიდებს კიაზოს „მებრძოლ ვაჟკაცსა შეჰფერის სულის სიმშვიდის ქონეაა“-ო,—„რა დამამშვიდებს საბრალოს როცა მერყევა გონება:—მალხაზი ამბობს: „ასეთ ყოფას მეც განვიცდიო“... ხშირად ორ კაცთა განცდანი შესადარია“-ო... მაროც ამას ამბობს: მეც მაგვარ გრძნობას განვიცდი, სწორედ რომ შესაზარია“-ო მაროს ხვეწნა და ვედრება ვერ გასჭრის და ვაჟკაცთა საბედისწერო შეყრა ხმალამოწვდით თავდება: „ჩაიფერფლა მოთმინება და ილვიძებს შურის ვნება, დამნაშავეს ზეცა დასჯის, მართალს უშველის განგება. გაგვასამართლოს ძირს ხმალმა და ზეცით—კი თვით უფალმა“-ო შეუტევენ ვაჟკაცნი ერთმანეთს, მაგრამ ამ დროს მოისმის მხედრული სიმღერა—„ომში წასვლა მას უხარის“-ო. სასიკვდილოდ ერთმანეთზე ხმალამოწვდილნი შესდგე-

ბიან. ომის გახსენება მოაგონებთ მათ მამულიშვილურ მოვალეობას და ყოყმანში არიან: საპირადო თუ საქვეყნო. „შევწირო თავი ჩემი სიცოცხლე ჩემსა ქვეყანას და არა სატრფოს."—მაროც ეუბნება: „რად გავიწყდებათ, რა დროა ახლა. ქვეყანა თქვენგან ითხოვს შველასა. დასთმეთ გულისთქმა, დამივიწყეთ მე,—ბედსა ქვეყნისას შესწირეთ თავი"-ო. მაგრამ საპირადომ გაიმარჯვა: „არ შემიძლიან, სისხლი მემღვრევა"-ო იძახის, კიაზო, „არა, ხმალმა გადასჭრას,—ვინ არს მართალი"-ო. ბრძოლაა. კიაზო სასიკვდილოდ დასჭრის მალხაზს. მაროს ძახილზე ხალხი შემოსცვივა.—საერთო აღშფოთებაა. კიაზო ამბობს: „სხვა გზა არ იყო, ერთ-ერთ ჩვენგანს უნდა ეცოცხლნა"-ო.... მაგრამ ვგრძნობ დამნაშავე ვარ... „სისხლით განვიბან ჩემს შეცოდებას და ყველასა გთხოვ მოტევებას" ო. ამ სიტყვებით იგი გადის. მომაკვდავი მალხაზი მიმართავს მაროს: „მარო, მარო, შენ ჩემო სატრფოვ,—შენ, ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლევ, შენ ჩემო ნუგეშო,...... დამშვიდდი მარო გული იჯერე. ნუ მიეცემი კაეშანს მტანჯველს"-ო... „მიგულე ისე, ვით ბრძოლის ველზედ ხალხისათვის თავდადებული"-ო.... და კვდება. მარო იწყებს ზარით ტირილს: „მწუხრი დაიწყო, ბედმა რა მიყო. სიცოცხლე ჩემი მან თან წაიღო"... გუნდი თანამიუცრემლებს მაროს იმავე სიტყვებით. ეკლესიიდან მოისმის გალობა. მარო და გუნდი დასტირიან მალხაზის გვამს: „მწუხრი დაიწყო".. ობა გათავდა. ყველანი მალხაზის გვამს დასცქერიან მწუხარედ.

საზოგადოებრივი ცხოვრება

ომის მსხვერპლნი

საერთაშორისო ომიანობამ აუარებელი მსხვერპლი შეიწირა. არა ერთი, ასეულ-ათასეული ვაჟკაცი დაასახიჩრა: ხელებ-მომტვრეული, ფეხ-მოწყვეტილი, დაკუტებული, შუბლგაკენწლილი, ფერდ-განგრეული და... ვინ მოსთვლის!

ჩვენს ქვეყანასაც ჰყავს ასეთი მსხვერპლი—ომში დაჭრილ-დასაჩიჩრებულნი,—ერთ დროს ვარსკვლავთ მწყვეტი რაინდნი, ომის აშიყნი, საქვეყნო საქმის თავგამოდებით დამცველნი, რომელნიც მოძმეთა საკეთილდღეოდ თავის უძვირფასეს განძს—სიცოცხლეს არ იშურებდენ, აი ეს რაინდნი დღეს თითქოს საზოგადოების მეტ ბარგად გადაქცეულან.

ჩვენის ქვეყნის რომელ კუთხეს იტყვით, რომ იგინი არ იყვნენ.

სხეულით დასახიჩრდენ, მაგრამ სულით არ დაცემულან.

და არც უნდათ საზოგადოების მეტ ბარგად შეიქმნენ: თუმცა ყველა ქვეყნის განებივრებულნი, გაბატონებულნი სწორედ ასეთ დაჭრილ დასახიჩრებულთ უნდა უმადლოდენ, დღეს რომ კეთილდღეობაში არიან. ამ ვაჟკაცებმა თუ კი თვისი სიცოცხლის გაწირვა არ დაიშურეს მოძმეთა საკეთილდღეოდ, ნუ თუ ჯანით და ღონით სავსენი, სვებედნიერნი უნდა ივიწყებდენ მათთვის დასაპყარებულთ?!

ამ მხრივ ჯერ-ჯერობით, ომიანობის ამ რაინდ მსხვერპლთ დიდის თანაგრძნობით მოეპყრა საქ. სოც. რესპ. სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი (სოჳესი).

ამ უწყების დახმარებით შესდგა ომში დაჭრილთა შრომის არტელები, რომელთა წევრნი—ინვალიდნი თავთავის შესაფერ შრომით შოულობენ ლუკმა-პურს და ცოლშვილს ასაზრდოვებენ.

მაგრამ ამას არ კმარობენ: ამ სხეულით საპყართ უფრო დიდი საქმე განიზრახეს—სულით ინვალიდთა ზეაღდგენა, გაკაჟება.

სხვათა შორის, ერთმა ამ არტელთაგანმა—შრომის არტელმა „ახალმა წრემ" გადასწყვიტა კულტურულ მუშაობის გაჩაღება: დაჭრილ-დასახიჩრებულთა შორის და ფართე საზოგადოებაში მწიგნობრობის გავრცელება, წარმოდგენა-კონცერტების მართვა, წიგნთსაცავის დაარსება.

ამავე არტელმა იკისრა ფრიად საპატიო და დიდი საქმე: ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"-ს გამოცემა და გავრცელება.

მიზანი დიდია და წმინდა.

რაინდულ სულისმქონებელთ სხვანაირადაც არ შეეძლოთ მოქმედება.

ბრძოლის ველზე თუ მუხანათმა ტყვიამ, ყუმბარის ნატეხმა და სხ. ხელი მოსტეხა, ფეხი დაუზიანა, შუბლი თუ მხარი გაუკენწლა,—სულის სიმტკიცე არ წაურთმევია და, აი, ამ სულის სიმტკიცით ჰსურთ ემსახურონ სულით დავრდომილთა ზეაღდგენას, წინსვლას.

გაუმარჯოს მათს მიზანსა და კეთილშობილურ განზრახვას!

სიღარიბის მსხვერპლი.

იმავე სობესს—სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს ერთი დიდი საქმეც განუზრახავს,—დაბა-სოფლად ურთიერთ დამხმარე გლეხთა კომიტეტებისმოწყობა და საქმეს შესდგომია კიდეც: ბევრ სოფელში დაარსებულია კომიტეტები.

მიზანი მეტისმეტად წმინდაა.

ჩვენი სოფელი თუ როდისმე საჭიროებდა წრფელ გულსა და უანგარო სიყვარულს,—ეს დღეს.

სოფელს მუდამ ერთი ესმოდა: „გამოიტა, მოძეცი!" მიცემით კი არავინ არასდროს არაფერს აძლევდა.

სოფლის ღარიბ-ღატაკი, ქვრივ-ობოლი მუდამ დაწიხლული იყო: უმთავრესად სოფლის წურბელების საწველი ფური.

სობესსა და მათგან შექმნილ გლეხთა კომიტეტებს ამ მხრივ დიდი სამოქმედო ასპარეზი ეხსნებათ, თუ ეს კომიტეტები სოფლის ნამდვილ გულშემატკივართაგან იქნება შემდგარი!

ვუსურვოთ, რომ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის ამ კეთილ განზრახვას შესაფერი ნიადაგი დახვედროდეს სოფლად.

ექიმი შტოკმანი.

რედაქციისაგან:

ამ ნომრისთვის აწყობილი მასალა—წერილები, ლექსები, ბიბლიოგრაფია, უცხოეთისა და ჩვენი სახელოვანი სამწერლო ქრონიკა, სამწუხაროდ ამ ნომერში ვერ მოთავსდა. შემდეგ №-ში წავა.

რედაქტორი: **იოსებ იმედაშვილი.**

გამომცემელი: **ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ახალი წრე".**

ნ. დ. სამხ. ცენზ. № 909. სტამბა „ზარია ვოსტოკა"-სი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტირაჟი 2000

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ა. წ. დეკემბრის 15-ს, საღ. 7 საათზე საზოგადოების ბინაზე (სასახლის ქ. № 6) დანიშნულია საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება წარსული საანგარიშო წლის შესახებ.
2. საბჭოს მოხსეხება.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
5. წესდების შეცვლა.
6. საბჭოს წევრთა არჩევნები.
7. გამგეობის ერთი წევრის არჩევა ნაცვლად გასული წევრის გრ. ლორთქიფანიძესი.
8. მიმდინარე საკითხები.

შენიშვნა: თუ პირველი კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება მოხდება დეკემბრის 30-ს დილის 11 საათზე აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად და ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

ომში დაჭრილთა შრომის არტელ „ახალ წრე“-სთან დაარსებული

საგანმანათლებლო სექცია

„კულტურა“

მიზნათ ისახავს სახელგამის და სხვათა მიერ გამოცემულ წიგნების გავრცელებას ინვალიდთა ორგანიზაციებში და ხალხის ფართო მასსებში. წიგნების საწყობი—„თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში (დროებითი ბინა—რუსთ. პროსპ. № 10, ეზოში). 1—4

მკერავი **ა. პიკელნი** მკერავი

რუსთვ. პროსპ. № 12

სეზონის უკანასკნელ მოდით

პარიზის და ლონდონის

ჟურნალების მიხედვით სრულდება დაკვეთა მხატვრულის გემოვნებით. იქვე მიიღება ყოველგვარი სამუშაო

ბეწვეულობის ნივთებზე.

4 1

ყველაფერი
ელექტროფიკაციისთვის
მოწყობა
დიდძალიან სადგურების
და
ს ი ნ ა თ ლ ი ს
აშენება და შეკეთება
შენობების

თავისუფლების მოედანი № 1.

დასახიჩრებულ
მეომართა
ტეხნიკური
საალმშენობნადი
„სატდამნადი"

Comptoir general
technique
„SATDAMNADI"
Appareillages
Electrique,
Applications
Electromeqanique,
Machines
Electrique.

Place de libertè № 1.